№ 178
შაბათი, 1 ოქტომბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დაუბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

№ 178
შაბათი, 1 ოქტომბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი- პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

კნეინა ანნა ალექსანდრეს ასული ამილახორისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 4 ოქტომბერს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებიდან გენერალ-ადიუტანტის

თავ. ივანე გივის ძე ამილახორისა,

ქვაშვეთის წ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

კვირას, 2 ოქტომბერს, სოფელ ბარნაბიანთ კარში (სად. გრაკალი) მეორმოცე დღეს გარდაცვალებიდან

სალომე იოსებ ყანჩელის ასულის აბულაძისა,

გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა პლატონ ქრისტეფორეს ძე აბულაძე და დედა ალექსანდრა გიორგის ასული ყანჩელისა შვილებითურთ.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.

(24—22)

№ 2 ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 2

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:
ორშაბათს, 3 სექტემბერს, პირველად ახალი პიესა

I

ნიაღვარი

დრამა 4 მოქმ. კოსოროტოვისა, თარგმანი ვ. გუნიასი.

II

ბებრის საღერღელი

ვოდ. ერთ მოქმედ. მაზურკევიჩისა, თარგმანი დ. აწყურელისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელისა, მ. მდივანი, ა. ნებიერიძე, ნ ჩხეიძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩრკვიანი, ვ. ურუშაძე.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მ.-დან 10-მდე, ბალკონი 60 კ.-დან 75 კ.-მდე, ამფითეატრი 1 მ. გალერეა 25 კ.-დან 35.-მდე.

მოსწავლეთათვის ადგილები 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად „მარუსა"—„შიო თავადი"—„სულით ობოლნი"—„კოხში" და სხ.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხელ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ჟორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ჟ. ჰ. ჩიქოვანი —9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი,

კ. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. ჰ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ, გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლ 18.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კორპუსის ქუჩა, № 91.

თავის დაცვა

მოქალაქობრივ წყობილების დამახასიათებელი ნიშანია პიროვნების უფლებათა დაცვა. ის სახელმწიფური ორგანიზაცია, რომელიც მოქალაქეს, როგორც პიროვნებას, არ ანიჭებს გარანტიებს, წინააღმდეგია ნორმალურ მოქალაქობრივ არსებობისა. სახელმწიფური ორგანიზაცია განყენებული რამე როდია. მისი მიზანი თვით საზოგადოებაში—ხალხშია. და რამდენათაც მთელი ხალხის ინტერესებს და თვითარსებობას ის სწორედ იცავს, იმდენადვე ის მიზნის შესაფერია. ადამიანის ყოფნა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც მის არსებობას ორაფრად არ აგდებს, მის სიცოცხლეს ჩირადაც არა აფასებს,—წარმოუდგენელია.

სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას შეადგენს პიროვნების უფლებათა დაცვა. ეს ნათლად გამოთქვას პირველი რევოლუციის მოღვაწეებმა ადამიანის და მოქალაქის უფლებათა ცნობილ დეკლარაციაში. მისი მეორე მუხლი გვეუბნება: „ყოველ პოლიტიკურ კავშირის მიზანია ადამიანის ბუნებრივ და განუყრელ უფლებათა დაცვა. ეს უფლებებია: თავისუფლება, საკუთრება, უშიშროება და ძალმომრეობისთვის წინააღმდეგობის გაწევა". თავისუფალ ფრანგებმა ამ მუხლით გამოთქვეს ის აზრი, რომ სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს პიროვნებას ყოველ გვარ ძალმომრეობისაგან, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს არ ძალუძს ააცდინოს მას განსაცდელი, უნდა მიანიჭოს მაინც თავის დაცვის უფლება.

ყოველ კონსტიტუციონურ სახელმწიფოში ასეთი უფლება ცნობილია. დაისი ამნაირად განმარტავს დაცვისათვის საჭირო ძალის კანონიერების მოძღვრებას: „იმისთვის, რომ დავიცვათ თავი თავის პიროვნებასა ან თავისუფლებაზე უკანონო თავდასხმისაგან, ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს იხმაროს ძალა თავდამცემის წინააღმდეგ და მოუსპოს მას სიცოცხლეც, თუ ეს ღონისძიება საჭიროა თავდასხმის მოსაგერებლად, ესე იგი თუ საჭიროა თავის დაცვისათვის". იგივე დაისი ამბობს: „მოუსპეთ ადამიანს თავის დაცვის უფლება და პატიოსანი მოქალაქენი ვიგინდარების მონებად გახდებიანო".

მართლაც წარმოსადგენია ასეთი ცხოვრება? მოდის მშვიდი მოქალაქე ქუჩაში, არავითარი ბოროტი აზრი ვინმეს წინააღმდეგ მას არ აქვს, და რომ რაიმე განზრახვაც ჰქონდეს გულში, ეს განზრახვა არაფრით არ გამოუმჟღავნებია,— [illegible], მოულოდნელად წამოუქროლებენ მას ქორივით და, თითქო წიწილიაო, სულს გააფრთხობინებენ. ბავშვი სკოლაში ვერ წასულა, იმის შიშით, რომ გზაში განუკითხავად ზურგზე ბოლი არ აადინონ ცემით. თვით ბინაზედაც მშვიდად ვერ გაჩერებულხართ,—ვაი თუ უგზო-უკვლო ტყვიამ ჩემსკენ გამოისისინოს და სიცოცხლეს გამომასალმოსო!..

რამ გააიაფა ასე ადამიანის სიცოცხლე? რა მოხდა, რა ძალა შემოვიდა საზოგადოებაში ისეთი, რომ მის თვალში კაცი უბრალო ნადირზე უფრო დაბლა დგას, ნაკლებ დასაზოგავია?

რომ ასეთი ძალა თავაღებული დაპარპაშებს, ამჟამად ეს ყველასთვის საკმაოდ ცნობილია. დღე არ გავა, რომ მისი თავხედობა არ ვიგრძნოთ. როდემდის? ისედაც მოდუნებული და მუხრუჭ-მოჭერილი საზოგადოებრივი ცხოვრება სრულიად მისუსტდა. ვერც ერთი საზოგადოებრივი დაწესებულება თავის ვიწრო ფარგალშიაც კი ვეღარ ახერხებს მოქმედებას. კერძო კაციც საქმეზე ვერ წასულა...

საჭიროა ფიქრი რამე ღონისძიებაზე თავის დაცვისათვის...

პ. სურგულაძე.

რა დავარქვათ?

მოგეხსენებათ, რომ არც ერთი, ცოტად თუ ბევრად, განათლებული, კულტურული ადამიანი არ წავა რომელსამე შეკრებულებაში, დიდ საზოგადოებაში ისე, რომ წინდაწინ თავისი ტანისამოსი არ გაისწოროს, პირზე თუ მური აცხია,—არ დაიბანოს, თმა არ დაივარცხნოს და საერთოდ მთელი თავისი ჩაცმულობა წესრიგში არ მოიყვანოს. ყველანი აქსიომად ვთვლით, ყველას სავალდებულოდ გვაქვს მიჩნეული, რომ საზოგადოებაში, მაგალითად, ისე თმა აბურძგვნულად ან პერანგის ამარად გამოსვლა არ შეიძლება, როგორადაც ვართ ხოლმე ხშირად შინ,—ჩვენს საკუთარ ოთახში. არც ერთი ადამიანი, რომელიც სრულიად ველური არაა, ქუჩაში, ან სადმე შეკრებულებაში არ იზამს ბევრ ისეთ რამეს, რასაც სჩადის იგი მარტოდ-მარტო თავის სახლში. ერთის სიტყვით, გარედ გამოსვლა, საზოგადოებაში გარევა და თავის მსგავს ადამიანებთან ყოფნა კულტურულ ადამიანს ავალებს ერთნაირ წესს, რომელსაც ზრდილობა ეწოდება და რომელიც კაცობრიობას ისტორიის განმავლობაში თანდათანობით შეუმუშავებია და განუვითარებია.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლაც იგივე საზოგადოებაში გამოსვლაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის საზოგადოება, რომლის წინაშეც მწერალი სდგას, ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ყოველი შეკრებულება, სადაც თითოეულ ჩვენგანს მოუხდება ხოლმე წასვლა და ადგილის დაჭერა. ამიტომ მწერალს კიდევ უფრო მეტის ყურადღებით მართებს თავის მწერლურ გარეგნობაზე დაფიქრება; მას ბევრად მეტი სისუფთავე და ზრდილობა მოეთხოვება და საჭირია კიდეც, ვიდრე თითოეულ კერძო კაცს, რომელიც პირისპირ ხვდება საზოგადოებაში თავის მსგავს ადამიანებს. ამ მხრით უფრო დიდი მოვალეობა აწევს არა მარტო იმიტომ, რომ მისი აუდიტორია უფრო დიდია, არამედ იმიტომაც, რომ იგი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლით საზოგადოების გზის მაჩვენებლობას კისრულობს, მის განათლებასა და განვითარებას ცდილობს. როგორიც უნდა იყოს ის წესწყობილება, რომელსაც იგი ეტრფის და ხალხსაც უქადაგებს, ზრდილობიანობა და ზნეობრივი სიფაქიზე ყოველთვის საჭირო იქნება,—ეს ყოველ წესწყობილებაში აუცილებელი კულტურული ქონებაა. და ამიტომ, ვიმეორებთ, მწერალს თავის დღეში არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ყველაზე უფრო იგი არის მოვალე წერაში ზრდილობიანობა და ზნეობრივი სიფაქიზე დაიცვას და ამით ხელი შეუწყოს მკითხველთა ზნეობრივ გაფაქიზებასა და ამაღლებას. ეს მცნება განსაკუთრებით ჩვენში არ უნდა იქნეს არც ერთ წუთს დავიწყებული, ვინაიდან აქ ხალხის ზნეობრივი- და არც სხვამხრივი—განვითარება მაინცა-და-მაინც მაღალ დონეზე არა სდგას და მას შესაფერ ატმოსფერის შექმნა ესაჭიროება.

ეს ასე უნდა იყოს მაგრამ, სამწუხაროდ, ის, რაც „უნდა" იყოს, ნამდვილად არ სრულდება ცხოვრებაში. არა თუ ერთი რომელიმე მწერალი, არამედ ხშირად მთელი ბეჭდვითი სიტყვის ორგანო სისტემატიურად ივიწყებს თავის ზნეობრივ მოვალეობას და ტალახიან ფეხებით სთელავს ელემენტარულ ზრდილობისა და თავაზიანობის მოთხოვნილებას. ქართულ ენაზედაც არსებობს ერთი ისეთი ორგანო, რომელიც ყოველგვარ მორიდებისა და ზრდილობის უარმყოფელია. მკითხველი, იმედია, თავის თავადაც მიხვდება, თუ რა ჰქვია ამ ორგანოს,—ეს ცნობილი „მოგზაური" გახლავთ.

ვერ ნახავთ ამ „ჟურნალის" ვერც ერთ ისეთ [illegible] ღირსება, ადამიანური თავმოყვარეობა შეურაცხყოფილი და გათელილი არ იყოს. რასაკვირველია, კამათის დროს აუცილებელია და ხშირად საჭიროცაა მწვავე სიტყვა, მკვახე წინადადება, მაგრამ „მოგზაურის" პოლემიკური ზნე-ჩვეულება ასეთის თვისებისა არაა. ამ ორგანოში „მოღვაწე" მწერლები ხმარობენ არა რაიმე მოსწრებულ სიტყვებს, რომლებშიაც სიმწვავეცაა გარეული, არამედ პირდაპირ უშვერ ლანძღვა-გინების გუდას მოხსნიან თავს, რომელიც მათ მუდამ გაბერილი აქვთ, და ლიტერატურულ მოწინააღმდეგეს ისეთის სიტყვებით გაუმასპინძლდებიან, რომ მათს მსგავს სხვაგან ვერც პრესსაში წაიკითხავთ და ვერც ცოტად თუ ბევრად ზრდილ საზოგადოებაში გაიგონებთ.

ყოვლად შეუწყნარებელ უზრდელობისა და ზნეობრივ თავაშვებულობის მაგალითები უხვად არის გაბნეული „მოგზაურის" ნომერში და ყველა იმათი ამოწერა და აღნიშვნა შეუძლებელია. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენსამე მაგალითს, რომელსაც ძველი ნომრების ხელახლა გადაფურცვლის დროს წავაწყდით, და მკითხველს დავანახვებთ, რომ „მოგზაურის" ეთიკა ბოლოს და ბოლოს იმ საზღვარს აღწევს, რომ მის გამოსახატავად მარტო „უზრდელობა" არ კმარა და იმგვარ ეთიკის პატრონთა სულიერ მდგომარეობის დასახასიათებლად საჭირო ხდება სხვა სახელის გამონახვა...

„მოგზაური" მეორე ნომრიდან არის ახლანდელ რედაქციის ხელში და ჩვენც ამ მეორე ნომრიდან დავიწყოთ. როგორც კი ეს რედაქცია შეუდგა მოღვაწეობას, მაშინვე იწყო ჩუხჩუხი „მოგზაური"-სებურ ზრდილობისა და თავაზიანობის შადრევანმა. ახლანდელ რედაქციის პირველსავე ნომერში თქვენი უმორჩილესი მონა ისეთ კაცად არის დასახული, რომელსაც „კეთილ-სინდისიერება" არა აქვს, „უნაყოფო ლაყბობა" უყვარს, „განგებ ამახინჯებს მოპირდაპირის აზრს" და სხვ. „მასი (ე. ი. თქვენი მონა-მორჩილის) მსჯელობის სისაძაგლე და სერიოზობის იმედი არადროს არ მქონიაო", სწერს „მოგზაურის" თანამშრომელი. ჩემი სახელი თურმე ისე გათახსირებულია, რომ, როცა მახსენებენ, ბოდიში უნდა მოიხადონ,—„ჩვენი, უკაცრავად მოხსენებაა, პუბლიცისტი გოგიჩაიშვილიო",—სწერს იგივე ავტორი (გვ. 14).

მესამე ნომერში შემდეგ სიტყვებს ამოიკითხავთ: „წერას უნარი და ცოდნა ეჭირვება; მას (ე. ი. კიდევ თქვენს უმორჩილეს მოსამსახურეს) არც ერთი აქვს და არც მეორე და, მაშასადამე, რამე უნდა მოჩმახოსო (გვ. 31). იქვე მიწოდებენ „ახირებულ ადამიანს", „უაზრო და უმნიშვნელო ფელეტონების" დამწერს, „ბავშურ ტრაბახის" მოყვარულს, „სხვისი აზრების განზრახ დამმახინჯებელს" და სხვა.

იმ ხანებში შესდგა ახალი რედაქცია „ივერიისათვის" და გაზეთის გამოცემა დავიწყეთ. „მოგზაურმა" ახლა ჩემდამი მომართული ლანძღვა-გინება „ივერია"-ზე გადაიტანა. მე-6 ნომერში (გვ. 73) ზრდილობის ასეთის მარგალიტებით მოიხსენიეს ჩვენი გაზეთი: „გამოდის, გამოდის" შემდეგ,—განახლებული „ივერია" უთუოდ გამოვა,—გამოვიდა კიდეცო". სიტყვა „გამოვას" რამდენჯერმე განმეორება „მოგზაურის" თანამშრომელს მოსწრებულ სიტყვად მიაჩნია და ამიტომ პირზე ნერწყვ მომდგარი იმეორებს და იმეორებს.

მე-7 ნომერში (გვ. 91) „მოგზაური" ასე მიეგება ახალის რედაქციით გამოცემულ „ივერიას" და ამის პირველ ნომერში დაბეჭდილ საპროგრამო წერილს: ხუთი სვეტი უშველებლის გაზეთისა თავიდან ბოლომდი გამოჭენჭხულია შავი ასოებით; ასოები, რასაკვირველია, ისეა გადაბმული ერთი მეორეზე, რომ—თუ რამდენიმეს ერთად ამოიკითხავ, გამოვა სიტყვა, და თუ თავს შეიწუხებ და რამდენიმე სიტყვასაც შეაკავშირებ,—წინადადებას მიიღებ". სთქვა რა ამ ბრძენმა მწერალმა, რომ გაზეთში შავი ასოებიაო, შემდეგ შინაარსსაც ახასიათებს: „მე გრძნობ,—ამბობს იგი,—რომ ბ. რედაქტორი ეგრედ წოდებული დეკადენტი უნდა იყოს და, რა თქმა უნდა, გაზეთის მიმართულებაც დეკადენტური იქნებაო".

„მოგზაურის" არც ერთ ამგვარ ოინისთვის ჩვენ ყურადღება არ მიგვიქცევია,—ჩვენს საქმეს განვაგრძობდით და „მოგზაურის" არც ავს, არც კარგს არ ვეუბნებოდით. „მოგზაურის" მწერლებმა, ალბად, ეს ითაკილეს და მეცადინეობას უმატეს: მოუხშირეს იმგვარი წერილები, რომელშიაც ქართულ „დასიზმს", რასაკვირველია, გუნდრუკს უკმევდნენ, ამტკიცებდნენ „მოგზაურის" მიმართულების უცილობელ ჭეშმარიტებას, ხოლო ყველა სხვა მიმართულების კაცებს უვიცებსა და მატყუარებს ეძახდნენ. „ამაზე მეტი სიყალბე შეიძლება,—გვიწერს გამწყრალი ბ-ნი მახარაძე მე-13 ნომერში (გვ. 201),—და მერე ვის ატყუებენ ეს ვაჟბატონები"? რასაკვირველია,—ბ-ნ მახარაძის [illegible]...

„მოგზაური"-სავე 105 გვერდზე ბ-ნ სიტყვას ეძახიან: მპოდავს, გომბიოს, მეტიჩარას და გაუგებარს. მე-18 და მე-19 ნომერში (გვ. 283 და 303) თავ. ილია ჭავჭავაძეს „ოინბაზ ილიას" უწოდებენ და „მაბეზღრად და ჯაშუშად" ახსენებენ.

ერთის სიტყვით, როგორც მოგახსენეთ, „მოგზაურის" აღვირ-აშვებულობა თანდათან მატულობს და მატულობს.

ჩვენ მაინც გაჩუმებული ვიყავით და ამ ორგანოს „ეთიკას" არ შევხებივართ, „მოგზაურმა" მთელი თავისი ძალღონე მოიკრიბა, მისი ლექსიკონის მთელი ჭუჭყი და ტალახი ერთად მოაგროვა და მე-23 ნომერში ჩვენკენ გადმოისროლა. ეს ტალახით გატენილი ყუმბარა იმდენად საინტერესოა, რომ ჩვენ ცოტა უფრო ვრცლად ამოვწერთ „მოგზაურიდან".

„რომ მართლა კარიკატურისტი ვიყო,—სწერს მოგზაურის ერთი თანამშრომელი (გვ. 365—366),—პირველ ყოვლისა დავხატავდი ერთ ქართველ კაპიტალისტს ანუ ფულების პატრონ კაცს... მე არ დავაწერ ჩემს კაპიტალისტს: „ეს არის ზუბალოვი მეთქი". არ დავაწერ, ვინაიდან ეს თითონ მკითხველმა უნდა გამოიცნოს სურათის სხვა მორთულობის მიხედვით...

„ჩემს სურათს მაღალ სავარძელში ჩავასკუპებდი, როგორც ასეთ პიროვნებას შეფერის, და მარცხენა ხელს თეძოზე (ჯიბის ახლო) დავაბჯენიებდი. მარჯვენა ჯიბის პირს, საიდანაც ურიცხვი ძაფები ამოდიან, ღიას დავხატავდი. ძაფების ბოლოებზე, რომლებიც შარავანდედივით ყოველ მხრივ მიდიან, მუშებს მოვაბამდი, და ისარის საშვალებით ვაჩვენებდი, რომ კაპიტალისტის სიმდიდრე სწორედ ამ წყაროებიდან გამოდიან და აქ ღია ჯიბეში იყრიან თავს მეთქი. მუშები სადღაც შორს უნდა გამოიხატოს და ძაფები ისე გაიბას, როგორც ტელეგრაფის მავთულია გაბმული, მარა იმ განსხვავებით, რომ ხის ბოძების ნაცვლად კაცები იდგნენ ზედ წარწერით: „მოურავები". ამასთანავე ძაფის წვერი თითოეული მოურავის ერთ ჯიბეში უნდა შედიოდეს და მეორიდან გამოდიოდეს, რასაკვირველია, შემოსავალ გასავლის განსხვავებით".

„სავარძლის ირგლივ უნდა დაასურათო მრავალი მატლები ანუ ჭიები, რომლებიც მარცხენა მუხლზე ახოხებას ცდილობენ. მატლების ვინაობა ისეთი საიდუმლო იქნება, რომ ვერავინ ვერ გამოიცნობს და ამისათვის საჭიროა მათთავს წარწერა რამ. აი ერთი დიდი ჭია ზედ ჯიბის კიდეზე მიცოცებულა და ცბიერი თავი კიდევაც ჩაუყვია შიგ. კუდზე ამ მატლს განცხადება ჰკიდია: „ივერიის რედაქცია" და წელზე კაკარდა აკრავს „პოლიტიკური ეკონომიის ექიმი". კუდის ქნევა არ შეიძლება გამოიხატოს, თორემ იმისი განცხრომა ყველასათვის თვალსაჩინო იქნებოდი. ქვევით, მეორე მატლი, ჭრელი პაგონებით, ახლა შესდგომია მუხლს და ჯერ შვამდე არ არის ახოხებული. ზურგზე მას „კავკაზსკი კრაი" აწერია. ეშმაკურ თვალებზე ეტყობა, რომ

ეროვნული

ჩქარა ჯიბეში მოიკალათებს. იქვე ახლოს, დამპალი ჯიჯვიდან თავი გამოუყვია კარგა მოზრდილ მუხლუხას, რომელსაც აწერია „ზაკავკაზიე“. ეს ჯერ ფუდუროდანაც არ გამოძვრილა, მაგრამ იმედი დიდი აქვს. ზემოდ, სავარძლის თავთან, ყურის, პირდაპირ ჭრიჭინა უნდა დასკუპო და დაწერო „ქართველ კათოლიკეთა ისტორიკოსი“. როგორც ჭრიჭინას წესია, ისიც გაჰკივის და გაჰკივის ლუკმის მოლოდინში. ეს მთავარი ტიპებია და ნეტავი ხატვა შემძლოს, რომ სრულიად გამოვხატო ქაღალდზე სურათის წვრილმანი მოწყობილობა და ერთი ბევრი ვიცანო“.

როგორც ხედავთ, ,,ივერიის'' რედაქციის ყველა წევრები მატლებად არიან ნახსენები და მათ შორის ერთი მსხვილი და ,,ცბიერი ქია ვარ მე „პოლიტიკურ ეკონომიის დოქტური“ ანუ, „მოგზაურის“ თქმით, ,,ექიმი'',—ვინაიდან მას დოქტორი და ექიმი ერთი და იგივე ჰგონია. მატლები არიან აგრეთვე ის პირნიც, რომელნიც „ზაკავკაზეს'' გამოცემასა და მასში თანამშრომლობას აპირობდნენ.

იქნება, მკითხველს გაუკვირდეს, რომ აქ ბ-ნ ,,ზუბალაშვილის ჯიბესთან'' სარედაქციო ,,მატლებ'' გამოუყვანია ,,მოგზაურის'' ენა მახვილ თანამშრომელს, და ვერ გაიგოს, თუ რა კავშირი უნდა იყოს ბ-ნ ზუბალაშვილის სახელსა და გაზეთების რედაქციებს შორის. ამიტომ საჭიროა მკითხველს განვუმარტოთ, რათა მან უფრო კარგად წარმოიდგინოს ის ზნეობრივი გახრწნილება, რომელშიაც ჩაფლულა ,,მოგზაურის'' რედაქცია.

გაზ. ,,ივერია'' დიდ მატერიალურ გაჭირვებაში იყო: როგორც მოგეხსენებათ, გაზეთს ხარჯები სჭირდება,—ქაღალდი, სტამბა, მწერლებისთვის სასყიდელი და სხვა. შემოსავალი კი გაზეთისა ჯერ-ჯერობით იმდენი არაა, რომ ხარჯების დეფარვა შეიძლებოდეს. ბ-ნმა ზუბალაშვილმა ისურვა ქართულ გაზეთის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება და გადასწყვიტა, გაუწიოს მას დროებით ნივთიერი დახმარება. იმ დეფიციტს, რომელიც აქვს გაზეთს, ჰფარავს საზოგადოდ ქველმოქმედებით ცნობილი ბ-ნი ი. კ. ზუბალაშვილი. ასევე რამოდენიმე დახმარება გაუწია მან, თუ არ ვცდები, „კავკაზსკი'' კრაისაც“, რომელიც ამას წინედ გამოდიოდა. დასასრულ მანვე ისურვა, ერთ რუსულ გაზეთის გამოცემა თვითონ ეკისრა და ამიტომ ითხოვა მთავრობის წინაშე ნებართვა „ზაკავკაზიეს“ გამოცემისა.

ახლა მკითხველი, იმედია, მიხვდა, თუ რატომ გვიწოდებს ჩვენ „მოგზაური“ მატლებსა და ქიებს, რომელნიც ბ-ნ ზუბალაშვილის ჯიბეს მისდგომიან და „სწუწნიან“. გაზეთს დახმარებას აძლევს ბ-ნი ზუბალაშვილი და ეს გარემოება ჩვენ გვხდის ქიებად და მატლებად ქველმოქმედ კაცისა.

წარმოვიდგინოთ ერთ წუთს წარმოუდგენელი და დავიჯეროთ, რომ „ივერიის“ თანამშრომლე [illegible] ზეთი ნივთიერ დახმარებას იღებს ბ-ნ ზუბალაშვილისაგან. მაგრამ რას იტყვით შემდეგ ამბავზე, რომელიც ასეთისავე ხასიათისაა? ბ-ნი ზუბალაშვილი წინად ეხმარებოდა ფულით... იცით, ვის? გაზ. „კვალს“!... იმ „კვალს“, რომელიც წინამორბედი იყო „მოგზაურისა“, იმ „კვალს“, რომელშიაც, როგორც დღეს „მოგზაურში“, თანამშრომლობდნენ ბ-ნი ფ. მახარაძე და ამხანაგნი მისნი. მაშინ ზუბალაშვილის დახმარებამ ეს დევგმირები ქიებად არ აქცია, რადგან მის დახმარებას მხოლოდ ჩვენს შესახებ აქვს ასეთი გარდამქმნელი თილისმური ძალა. იმავე ,,კვალს'' სუბსიდიას აძლევდა აგრეთვე მეორე ქართველი მრეწველი, ბ-ნი სარაჯიშვილი. ამ სუბსიდიამაც არ გარდაქმნა ,,კვალის'' და ახლა ,,მოგზაურის'' თანამშრომლები ქიებად, რადგან ეს „კვალი“ გახლდათ და არა „ივერია“.

მაგრამ ქველმოქმედისაგან დახმარების მიმღებ გაზეთში მუშაობა, იქნება, მხოლოდ დღეს ნიშნავს ქიობას და მატლობას და ამას ასეთივე მნიშვნელობა არ ჰქონდა ამ ერთის დღის წინად. წარმოვიდგინოთ აქაც წარმოუდგენელი, დავიჯეროთ დაუჯერებელი და ამის მიხედვით გავშინჯოთ შემდეგი ამბავი.

,,ზაკავკაზიეს'' ნაცვლად ბ-ნ ზუბალაშვილის ხარჯით 1 ოქტომბრიდან გამოდის გაზ. ,,ვოზროჟდენიე და ვინ იკისრა თანამშრომლობა ამ—,,მოგზაურის'' ტერმინოლოგიით—,,მატლებიან'' გაზეთში? არ დაიჯერებთ! იმავე პარტიის რამდენიმე კაცმა, რომელსაც ეკუთვნის გაზ. ,,მოგზაური''. ეს კიდევ ცოტაა: ,,ვოზროჟდენიეში'' თანამშრომლობას დასთანხმდნენ,—რასაკვირველია, სასყიდლით,—,,მოგზაურის'' ზოგი მთავარი თანამშრომელნიც!.. ამგვარად, მათ მოსწყინდათ მარტოოდენ ,,მოგზაურული'' სიფაქიზე და ,,მატლების'' სიაში ჩაეწერნენ!..

აი, მკითხველო, რა გახრწნილებამდის შეიძლება მივიდეს სიტყვის ორგანო. ,,მოგზაურის'' თანამშრომლები რაიმე საქმეს სისაძაგლის სახელით ნათლავენ და იმავე დროს იფლებიან იმ მორევში, რომელსაც თვითონ სისაძაგლეს უწოდებენ. აი, ეს არის გათახსირება, რომლის უარესის წარმოდგენა ძნელად შეიძლება.

ჩვენ მაინც ,,მატლების'' წერილის შემდეგაც არ გავეცით ხმა მოგზაურს,—ვფიქრობდით, რომ, როცა მისი თანამშრომლების ამგვარ სიბეჩავეს ყურადღებას რომ არ მივაქცევდით, თვითონვე დაინახავდნენ თავის ნამდვილ სახეს და შედრკებოდნენ.

მაგრამ „მოგზაურის“ შესახებ რაიმე კარგი მოლოდინი აბა, როდის გამართლებულა, რომ ახლა გამართლებულიყო! ამ ორგანომ კიდევ უმატა ლანძღვა-გინებას. მე-24 ნომერში ბ-ნ ი. რამიშვილს, მაგალითად, „თვალთმაქცი“, „ყალბი“ და „გაუგებარი“ დაუძახეს და მის საქციელს, რომელიც ,,მოგზაურის''-თვის უსიამოვნო აზრის გამოთქმაში გამოიხატა, სახელად ,,უპატიოსნო'' უწოდეს (გვ. 383—4). მე-26 ნომერი ამგვარ მარგალიტებით შეამკეს: ,,ოი, უვიცნო და საბრალონო!.. ოი, საცოდავნო!.. ჩვენი მოწინააღმდეგე ნაციონალისტ-ავტონომისტ-ფედერალისტები გონებით ლატაკნი'' ხართო (გვ. 415). იმავე ნომერში ,,ცნობის ფურცლის'' რედაქცია ,,იდე ფიქსით, შეშლილად'' არის დასახული (გვ. 422).

ჩვენ ამის შემდეგაც არ ვამხილეთ პირდაპირ ,,მოგზაურს'', მოვიქეცით იმ ანდაზის მიხედვით, რომელიც ამბობს: ,,შვილო, შენ გეუბნებიან, რძალო, შენ გესმოდესო'', და გამოვთქვით ზოგადი მოსაზრება, რომ უზრდელ სიტყვა-პასუხის ხმარება მწერლობაში რყვნის მკითხველის გემოვნებას და ამიტომ საჭიროა, მწერლებმა წერის ზრდილობიანი მანერა შეითვისონო. ეს შენიშვნა ძლივ-ძლივობით გაიგო ,,მოგზაურმა'' და ბრძენ ფ. მახარაძის ბრწყინვალე კალმის საშუალებით ასეთი პასუხი მოგვცა: ,,დიახ, გაგინებთ, ბატონებო! თუ გნებავთ, გლანძღავთ კიდეც, ბატონო „ივერიავ“! გაგინებთ და გლანძღავთ, რადგან თქვენ და თქვენისთანებს ნებსით თუ უნებლიედ გინდათ ძირი გამოუთხაროთ ხალხის მომავალს. თქვენ თქვენი ცრუ დემოკრატობით გსურთ გზა-კვალი აუბნიოთ ხალხს და ჩვენ კი ვერ მოვითმენთ ამას, ვერ მოვითმენთ!'' (გვ 426).

ამ გვარად, ,,მოგზაურმა'' პირდაპირ აღიარა, რომ იგი ლანძღვა-გინების ორგანოა. და ეს თავისი გამოცხადება ასე დაამტკიცა ორი ნომრის შემდეგ ბ-ნ სიტყვას შესახებ: ,,ცნობის ფურცლის'' მეფელეტონე სიტყვა რომ ახირებული ტიპის ,,მწერალია'', ეს ჩვენ დიდიხანია ვიცოდით,—სწერია ,,მოგზაურის'' 479—481 გვერდზე,—მაგრამ, თუ ის ასე უვიცი იყო, არ გვეგონა... შეიძლება, ბ-ნი სიტყვა ქუჩაზე შესცდა,—ამ შემთხვევაში იგი სიბრალულის ღირსია''.

ამ ჩვენ წერილს სათაურად დავაწერეთ: ,,რა დავარქვათ?'' ამ გვარ სათაურით ჩვენ გვინდოდა მკითხველისათვის მიგვენდო ,,მოგზაურის'' წერის მანერისათვის შესაფერი სახელის გამონახვა. ყველაფერი ის, რაც ამ წერილში მოვიხსენიეთ, ისე მარტივი რამ არის, რომ მის გამო შესაფერად მონათვლა ხსენებულ ორგანოსი ძნელი საქმე არაა... უზრდელობას, ცხადია, ზრდილობა და დარბაისლობა ვერ დაერქმევა...

მაგრამ ,,მოგზაურის'' უკანასკნელ ნომრებში არის სხვა გვარი ,,ნამოღვაწარიც'', რომელიც თავის შინაარსითა და ხასიათით ისე მარტივი არაა, როგორც ყველა ზემოდ აღნიშნული ნიმუშები. ამ ორგანოს უკანასკნელ ნომრებში ისეთი წერილებია დაბეჭდილი, რომ მათს წამკითხველს უეჭველად ავტორისადმი სიბრალულის გრძნობა შეიპყრობს და დამწერის სულიერ მდგომარეობაზე ჩააფიქრებს...

თუ რა წერილებია ეს და დამწერის რა გვარი პსიხიკა მჟღავნდება მათში, ამაზე ჩვენ, რახან დღეს ვეღარ ვასწრებთ, შემდეგ წერილში მოვე- [illegible]

ფ. გოგიჩაიშვილი

ერობა და ხალხის იდეალები.

ამ ბოლო ხანებში ვის არ გაუგონია ჩვენში ერობის ხსენება? სამაზრო და საგუბერნიო სათათბიროებში დიდი მითქმა-მოთქმა და გახმაურება გამოიწვია კავკასიაში ერობის შემოღების საკითხმა. ზოგიერთები ამბობდნენ,—ყოველივე ახალ უფლების მოპოვება ჩვენთვის სასურველია და ამიტომ ახლავე უნდა მივიღოთ ის, რის მოცემას მთავრობა გვპირდებაო. სხვები არ ეთანხმებოდნენ ამნაირ ზომიერებას და მოითხოვდნენ თავიანთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას უკლებლივ; ამბობდნენ, სანამ მთელი ჩვენი ცხოვრება არ მოეწყობა ისე, როგორც ჩვენ გვინდა,—არავითარ კუდმოკვეცილ რეფორმას არ მივიღებთ და სხვასაც არ მივაღებინებთო. ზოგიც კიდევ აცხადებდა, რომ ჩვენში თუ შემოვიდა ერობა, უნდა შემოვიდეს იმ სახით და იმ უფლებებით, რომელსაც სასურველად სცნობს ხალხი და რომელიც ნამდვილ დამოუკიდებელ და თვითმართველ დაწესებულებად გახდის ერობას შინაურ საქმეთა მართვა-გამგეობაშიო.

რა არის ერობა? რომელია ამ სამ ზემოხსენებულ სხვადასხვა-გვარ ტაქტიკაში მართალი და რომელი უფრო ეთანხმება ხალხის ნამდვილ სარგებლობას და ინტერესებს?

ერობა არის ადგილობრივი თვითმართველობა: ყველა ის ადგილობრივი საქმე, რომელიც დღეს მთავრობის მოხელეთა ხელშია, რომელსაც დღეს ხალხისთვის უცხო პირები განაგებენ,—ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება, გზების კეთება, სანიტარო მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა ასეთები,—ხალხის ხელში უნდა გადავიდეს.

როგორიც უნდა იყოს სახელმწიფო წეს-წყობილება, მიიღებს იგი დემოკრატიულ რესპუბლიკის სახეს, თუ საკონსტიტუციო მონარქია იქნება,—ადგილობრივი თვითმართველობის შემოღება იქაც და აქაც არის აუცილებელი რამ, რადგანაც არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი ცენტრალისტური სახელმწიფო, რომელშიაც ხალხის წარმომადგენლობა იყოს შემოღებული და არ იყოს ადგილობრივი თვითმართველობა. იმ სახელმწიფოში, სადაც ხალხს მოპოვებული აქვს უფლება სახელმწიფო, საერო საქმეებში თვითონვე იყოს მათი გამგე და მართველი, მით უფრო უნდა ჰქონდეს უფლება განაგოს ადგილობრივი საქმეები, რომელიც მარტო მას ეხება, რომელიც ადგილობრივ არის გადასაწყვეტი.

ის, ვინც საზოგადოდ აცხადებს, რომ ხალხის უფლების მომხრეა, ვისაც ნამდვილად უნდა რომ ხალხს მიენიჭოს თვითმართველობა, ის ერობის შემოღების წინააღმდეგი ვერ შეიქნება,—საჭიროა მხოლოდ, რომ შემოსაღები ერობა წარმოადგენდეს ნამდვილ თვითმართველობას.

მართალია, შეიძლება სახელით იყოს შემოღებული ერობა, მაგრამ ხალხს ამ ერობაში თავისუფალ მოქმედების უფლება არ ჰქონდეს მინიჭებული. შეიძლება საერობო საქმეებში ხმა ჰქონდეს ხალხის მხოლოდ შეძლებულ ნაწილს და ამნაირად ხალხის უმეტესობა განზე იყოს დატოვებული შეიძლება ისიც, რომ ადმინისტრაციას არა მხოლოდ ზედამხედველობის, არამედ საქმეში ჩარევის უფლებაც ჰქონდეს და რომ მას შეეძლოს გააუქმოს ერობის ყოველი გადაწყვეტილება, რომელიც მას არ იამება. ასეთი არ არის განა ის ერობა, რომელიც, აგერ ორმოცი წელიწადია, არსებობს რუსეთში. იქ ერობაში მონაწილეობა ცენზზე, ქონებაზეა დამყარებული, იქ მხოლოდ მდიდარი ითვლება ადამიანად და ღარიბს კი ეუბნებიან,—შენთვის აქ თავისუფალი ადგილი არ დაგვრჩენიაო. იქ თავად-აზნაურობას საერობო საქმეში მეტი გავლენა აქვს მინიჭებული, თითქო ეს მთელი ქვეყანა თავად-აზნაურობისათვის ყოფილიყოს გაჩენილი და თითქო ყველა გლეხი, თავად-აზნაური და ვაჭარიც თანასწორი არ იყოს დაბადებით, თანასწორი არ უნდა იყოს ცხოვრებაშიც. იქ ამნაირად გაცხრილულ ერობას მაინც არა აქვს თავისუფლება, ერობის არჩეულ ხმოსნებს ამტკიცებს ადმინისტრაცია, იგი ამტკიცებს აგრეთვე საერობო გამგეობის წევრებს და თავმჯდომარესაც. ადმინისტრაციის დაუმტკიცებლად ერობის არც ერთ გადაწყვეტილებას არა აქვს ძალა, ადმინისტრაციის ნება და დასტურია საჭირო გზის გასაყვანად, სასწავლებლის ან წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დასაარსებლად, ადმინისტრაციის ნება-დაურთველად ერობას არ შეუძლია წყალდიდობის ან გვალვისაგან დაზარალებულ სოფლელს აღმოუჩინოს რამე დახმარება,—ერთის სიტყვით, ერობის ყოველივე ფეხის გადადგმა, ყოველივე წვრილმანი გადაწყვეტილება, მისი ამოსუნთქვა და არსებობაც კი ადმინისტრაციის მოხელეთა ნებასა თუ უნებლობაზე ჰკიდია.

ამ ერობას თვითმართველობის სახელი კი ჰქვია! ყველასათვის ცხადია, რომ ამნაირი ერობა სხვებს არ გამოადგება და რუსეთში ხალხი მისი წინააღმდეგია და მოითხოვს ერობას საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ საარჩევნო უფლებაზე დამყარებულს, მოითხოვს ერობას ადმინისტრაციის თვითნებობაზე დამოუკიდებელს, სრულ უფლებიანს, ერობას, რომელსაც ყველა ადგილობრივი საქმე ჰქონდეს დაკისრებული, ერობას რომელიც თვითონ უნდა შეიქმნეს ადმინისტრაციის გამგე და ბრძანებელი.

ამნაირი ერობა უეჭველად სასარგებლოა ხალხისათვის. ესეთი დამოუკიდებელი ერობა უთუოდ სასურველი უნდა ყოფილიყო იმათთვის, ვისაც მუდამ ხალხის მოწიფეობის რწმენა აქვთ, ვინც არის დარწმუნებული, რომ ხალხს შეუძლია თავისი საქმეები თავის სასარგებლოდ განაგოს.

ამნაირ ერობის მიღება პირველი გამარჯვებაა, ომიანობის დროს ბრძოლის ველზე ერთის გამარჯვებით არსად არ წყდება საქმე, ყოველგან ერთ შეტაკებას მეორე მოჰყვება, ყოველგან გამარჯვებული ჯარი თანდათან მიიწევს წინ, ჯერ ერთ სიმაგრეს ხელთ იგდებს, შემდეგ მეორეს, სანამ ბოლოს. უკან-უკან დახევით მოსუსტებულ და თავზარ დაცემულ მოწინააღმდეგეს დიდ ბრძოლას არ გაუმართავს და სრულიად არ გაანადგურებს. ერთ რომელიმე სიმაგრის აღება არ უდრის [illegible] —პირიქით, მისი აღება ზურგს უმაგრებს მეომარს და ახალ ბრძოლისთვის აქეზებს.

ხალხის განვითარების საქმეში ყოველი ახალი უფლება სასარგებლოა, თუ ამ უფლების საშუალებით ხალხს შეეძლება უკეთესად მოაწყოს თავისი ძალები და მიმართოს ისინი შემდეგ უფლების მოსაპოვებლად. მხოლოდ ისეთი ცვლილება არ არის საჭირო, რომელიც ახალ უფლებების მოსაპოვებლად არ არის გამოსადეგი, რომელიც ხალხს პოლიტიკურ მხედველობას უსუსტებს და ხელს აღებინებს ბრძოლაზე.

არა, ადგილობრივი თვითმართველობაც არ გვინდა იმიტომ, რომ სხვა უფრო დიდი მიზანი გვაქვს მისაღწევი და მასში იმას სავსებით არ შევასრულებთ, არც ეს გვინდაო,—ან სულ, ან არაფერიო! ერობის შემოღება ხალხს დაადუნებსო, მებრძოლი ელემენტები მიღებულ უფლებებით კმაყოფილნი შეიქნებიან და ბრძოლაზე ხელს აიღებენო; რაც უფრო დემოკრატიული იქნება ერობა, რაც უფრო მეტი უფლება ექნება მას მინიჭებული, რაც უფრო მეტად შეეძლება მას ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილება, მით უფრო მალე დაივიწყებს ხალხი დიდ მიზანს და, ადგილობრივ საქმეთა ვიწრო ფარგალში მომწყვდეული, მშვიდობიან ცხოვრებას მოითხოვსო.

ამის თქმა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც ხალხს არ ენდობა, ვინც ფიქრობს, რომ ხალხი დღეს ცნობიერად არ მოითხოვს იმას, რაც უმთავრეს მიზნად აქვს დასახული ამჟამად. ხალხი ამ მიზანს დაივიწყებსო, ძალები დაიქსაქსებაო, მოძრაობა მისუსტდებაო,—ნუ თუ უგუნურ ბრბოდ მიაჩნიათ მათ ხალხი, ნუ თუ ჰგონიათ, რომ მხოლოდ მათი ჩაგონებით მოითხოვს იგი ცხოვრების პირობათა გამოცვლას.

ორში ერთია უთუოდ: ან ხალხი მართლა გათვითცნობიერებულია და დარწმუნებულია ერთობ მართლა საჭიროა ის, რასაც საჭიროდ და აუცილებლად აცხადებენ მისი „მეთაურები“ და მაშინ ადგილობრივ დამოუკიდებელ და დემოკრატიულ თვითმართველობის შემოღება მხოლოდ ხელს შეუწყობს ხალხს იმაში, რომ მან უფრო მტკიცედ და უფრო აშკარად მოითხოვოს საჭირო რეფორმები განხორციელდება და უსაფუძვლოა ამ „მეთაურების“ ძახილი: ან სულ ან არაფერიო!

ან შეიძლება კიდევ ხალხი გათვითცნობიერებული არ არის და დღევანდელი მოძრაობა ხელოვნურად შექმნილია, ხალხს ის არ უნდა, რასაც მას აჩემებენ „მეთაურები“; შეიძლება დღეს მებრძოლთა რიცხვში ბევრია ისეთი, რომელიც არ თანაუგრძნობს „მეთაურების“ იდეალს, შეიძლება ამიტომ მოძრაობის ძლიერება ფუჭი და მოსაჩვენებელია,—მაგრამ მაშინ ხომ დიდის ძებნაც მათთვის, უნაყოფოდ ჩაივლის, რადგანაც რამე ძირითადი ცვლილება თუ მომხდარა ცხოვრებაში, იგი უთუოდ იქნება ისეთი, როგორიცაა ხალხი, და არა ისეთი, როგორიცაა ხალხის „მეთაურები“. ნუ დავივიწყებთ, რომ „მეთაურები“ კი არ ჰქმნიან ისტორიას, არამედ ხალხი; ნუ დავივიწყებთ, რომ ამ „მეთაურების“ სიტყვით კერძო პირთა სურვილსა და იდეურ მიზეზებს არ შეუძლიათ ცხოვრების შექმნა.

ცხოვრების ძირითადი შეცვლა თუ ხალხს მართლა ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, მაშინ დემოკრატიული და დამოუკიდებელ ერობის შემოღება მხოლოდ გააძლიერებს ბრძოლის განგრძობას, ხოლო, თუ ცვლილების შემოღება მხოლოდ „მეთაურების“ სურვილია და თუ ეს „მეთაურები“ ხალხს არ ენდობიან და მას უგნურად სთვლიან, მაშინ იმ დასკვნაზე უნდა მივიდეთ, რომ ამ „მეთაურებს'' მხოლოდ მღვრიე წყალში თევზის დაჭერა სდომებიათ და ხალხის სახელით ლაპარაკი მხოლოდ სათვალთმაქცო ხერხი თუ ყოფილა, რადგანაც ნამდვილად მათ ამ ხალხის ნდობა არა აქვთ, ხალხის ნამდვილ სურვილებს ასრულება არ უნდათ.

ხალხს ,,ძალად მაცხონედ'' არავინ არ უნდა,—სულ ერთია იქნება იგი გარეშე, თუ მისი სახელით მოლაპარაკე. ამნაირ ,,ძალად მაცხონედ'' არ გამოდგება განსაკუთრებით ის, ვისაც ხალხის იმდენი ნდობაც კი არა აქვს, რომ აცხადებს,—არ გვინდა ერობა იმიტომ, რომ მისი მიღება ხალხის მოწინავე ელემენტებს დაადუნებს და დააკმაყოფილებსო.

ვარ. ფ—ი.

ხალხის პირდაპირი კანონმდებლობა

სახელმწიფოს სხვადასხვა სახე აქვს. ყოველ სახეს თავისი იდეოლოგები ყავდნენ და ახლაც ყავს. მაგალითად, ლუი XIV დროს, როცა მონარქიამ საფრანგეთში განვითარების უმაღლეს წერტილამდე მიაღწია, უპირველესი მჭერმეტყველი, გამოჩენილი მოსის ეპისკოპოზი ბოსუეტი სწერდა: „ღმერთი არის ნამდვილი მეფე. ის ამწესებს მეფეებს და მინისტრებს და მათი ხელით განაგებს ხალხებს. მეფეს უნდა ვემორჩილებოდეთ, როგორც თვით სიმართლეს. ვისაც არ სურს დაემორჩილოს მმართველს, ის გასასამართლებელიც არაა: ის პირდაპირ მოსაკლავია, როგორც საზოგადოებრივ მშვიდობიანობის და მთელ კაცობრიობის წინააღმდეგი“.

ამ საფუძველით მეფეები ფიქრობდნენ, რომ მათ შეუძლიათ ყველაფერი მოიმოქმედონ, რაც კი მათ მოეპრიანებათ, და არავის წინაშე პასუხის მგებელი არ არიან. ლუი მე-XIV თავის შვილის შვილს ასეთს აზრებს აგონებდა: „მეფე წარმოადგენს მთელ ხალხს; ხალხს არა აქვს დამოუკიდებელი არსებობა, ის სავსებით ხორციელდება მეფეში“. ერთხელ ფილიპე ორლეანელმა თავის ბიძაშვილს, მეფეს ლუი მე-XIV-ს, შენიშნა, შენი ერთი მოქმედება უკანონოაო. „იგი კანონიერია, იმიტომ რომ მე მსურსო“,—უპასუხა მეფემ და განაძევა თავის ბიძაშვილი სახელმწიფოდან.

ამნაირი იყო თვითმპყრობელობა და მისი იდეოლოგია. მაგრამ დრონი ვიდოდნენ. სოციალური ცხოვრება იცვლებოდა და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიოდა ხალხი. მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები დაუკვირდნენ სახელმწიფოს [illegible] მოჩნდა, რომ მთავრობა ხალხს რაიმე არაბუნებრივი ძალისაგან კი არ ევლინება, პირიქით, ამ მთავრობას ნიადაგი აქვს ცხოვრების რეალურ პირობებში. თვისი მოქმედებით იგი ხალხის განსაზღვრულ ნაწილზე დამყარებულია, და ამ ნაწილის უპირატესობა—პრივილეგიების დაცვით ზურგს იმაგრებს, ან იგი დამყარებულია მთელ ხალხზე და პრინციპიალურად მაინც მთელ ხალხს თანაბრად წარმოადგენს. აქედან უკვე პირდაპირ მომდინარეობს დემოკრატიული პრინციპი, გამოთქმული ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის მესამე მუხლში, „სახელმწიფოში ყოველ უმაღლეს ძალის წყარო არსებითად ხალხია; არც ერთ დაწესებულებას, არც ერთ პიროვნებას არ შეუძლია ისეთ ძალის განხორციელება, რომელიც პირდაპირ ხალხისაგან არ მომდინარეობს“. აქ ხალხის სუვერენიტეტი ნათლად გამოხატულია. მხოლოდ ხალხშია გამგებლობის უმაღლესი ძალა.

ამ პრინციპის ლოღიკური დასკვნა, მისი პირდაპირი შედეგი არის რესპუბლიკა. რესპუბლიკაც სხვადასხვა ხასიათისაა. შეიძლება რესპუბლიკა იყოს ოლიგარქიული, როცა უმაღლეს სახელმწიფო ძალას ჩაიგდებს ხელში და ხალხს განაგებს ერთი პატარა ჯგუფი, შემდეგ—კლასიური, ან არისტოკრატიული, როცა პოლიტიკურ უფლებით აღჭურვილია ერთი რომელიმე კასტა, წოდება, ან კლასი: მხედრობა, მემამულენი, შთამომავლობითი არისტოკრატია, ან სხვა შემძლე კლასი, ან პრივილეგიების მქონე ელემენტების შეერთებული კრებული. ცხადია, ამგვარ რესპუბლიკაში ხალხის სუვერენიტეტი განხორციელებული კიდევ არ არის. ეს უკანასკნელი მოითხოვს ყველა მოქალაქეთა სრულ პოლიტიკურ თანასწორობას, პოლიტიკურ უფლებების განხორციელებისათვის. ყოველგვარ პრივილეგიის მოსპობას.

როცა თანასწორობის პრინციპი სავსებით განხორციელებულია, მაშინ ჩვენ წინ არის დემოკრატიული რესპუბლიკა. აქ უმაღლესი სახელმწიფო ორგანო არის ხალხი, ესე იგი უმაღლეს სახელმწიფო ძალის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს ყველა სრულ-წლოვანი მოქალაქე. ამ ნაირ დემოკრატიულ რესპუბლიკაში პრინციპიალურად სახელმწიფო ნება მომდინარეობს ყველა მოქალაქეთა კრებულისაგან.

მაგრამ დემოკრატიულ რესპუბლიკასაც სხვადასხვა სახე აქვს. ხალხს შეუძლია პირდაპირ, დამოუკიდებლივ განახორციელოს თავისი პოლიტიკური უფლება. ყველა მოქალაქე, ერთად შეკრებილი, თათბირობს და აწესრიგებს სახელმწიფოს საქმეებს. ეს იქნება დამოუკიდებელი, განუსაზღვრელი დემოკრატია. ასე იყო ძველებურ საბერძნეთში დემოკრატიისათვის იდეალია, დემოკრატიულ პრინციპის პოლიტიკურის მხრივ უმაღლესი განხორციელება. მაგრამ ამ განხორციელებას წინ ეღობება ისეთი დაბრკოლებანი, რომელნიც თანამედროვე დიდ სახელმწიფოებში უძლეველია. პატარა საზოგადოებაში, კომუნაში, რომელიც განსაზღვრულია, როგორც სივრცით, ისე მოქალაქეთა რაოდენობით, ადვილი განსახორციელებელია დამოუკიდებელ დემოკრატიულ გამგებლობის პრინციპი. მხოლოდ თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე სახელმწიფოს, რომელიც საზოგადოდ დიდია, როგორც სივრცით, ისე მცხოვრებთა რაოდენობით, მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ ასეთ სახელმწიფოში პირდაპირ დემოკრატიულ მართველობის პრინციპის განხორციელება შეუძლებელია.

ამიტომაც დღეს დემოკრატიულ რესპუბლიკამ შემოიღო წარმომადგენლობითი სისტემა. მოქალაქეთა განსაზღვრული რაოდენობა, ვთქვათ, ასი ათასი კაცი, ირჩევს ერთს წარმომადგენელს, რომელსაც, ასე ვთქვათ, დროებით გადასცემს თავის პოლიტიკურ უფლებას. წარმომადგენელთა კრებული შეადგენს საკანონმდებლო დაწესებულებას, რომელიც განაგებს სახელმწიფოს.

თუ ხალხი სრულად არ მონაწილეობს პირდაპირ კანონების გამოცემაში და საკანონმდებლო ფუნქციას სავსებით წარმომადგენელი ეწევა, მაშინ ჩვენ წინ არის წმინდა წარმომადგენლობითი დემოკრატიული რესპუბლიკა. მაგრამ შესაძლოა წარმომადგენლობით სისტემის გვერდით არსებობდეს ხალხის პირდაპირი მონაწილეობა კანონმდებლობაში. ხალხს შეუძლია წარმომადგენლობით სისტემასთან შექმნას დამოუკიდებლივ დემოკრატიული დაწესებულებანი.

ერთი ასეთი დაწესებულებათაგანი არის რეფერენდუმი.

წარმომადგენლობით სისტემასთან ერთად ხალხის მონაწილეობა საკანონმდებლო მოქმედებაში შეიძლება შემდეგი სახით.

I. **ხალხის ვეტო**. ვთქვათ, საკანონმდებლო კრებულმა მიიღო რომელიმე კანონი. თუ კონსტიტუციის-მიერ განსაზღვრულ დროს განმავლობაში კანონის-მიერ განსაზღვრული რიცხვი მოქალაქეთა განაცხადებს პროტესტს კრებულის-მიერ მიღებულ კანონის წინააღმდეგ, მაშინ ეს კანონი გადეცემა კენჭის საყრელად ხალხს, რომელიც მას ან უარყოფს, ან დაამტკიცებს. ამასთან ჩვეულებრივ კანონის უარსაყოფად საჭიროა მის წინააღმდეგ მისცეს ხმა საარჩევნო სიაში შეტანილ მოქალაქეთა უმრავლესობამ. აქედან სჩანს, რომ კენჭის ყრაში მონაწილეობის არ მიღება თანხმობათ ითვლება, ვინც კენჭის ყრაში არ მოდის, მისი ხმა კანონის მომხრეთ ურთდება.

II. **რეფერენდუმი** იმით განირჩევა ვეტოსაგან, იგი კანონის უარსაყოფად კი არ გამოიყენება, პირიქით,ის საჭიროა კანონის საბოლოოდ დასამტკიცებლად. საკანონმდებლო კრებულის მიერ მიღებული კანონი ჯერ კიდევ ითვლება პროექტად, სანამ წარმოსადგენია საერთო კენჭის ყრის მოთხოვნა—რეფერენდუმი. რეფერენდუმის დროს ჩვეულებრივ სახეში მიიღებენ მხოლოდ იმ ხმებს, რომელიც კანონის წინააღმდეგ ან დასამტკიცებლად არის მიცემული. მათი შედარება გვიჩვენებს, რა აზრს ადგია უმრავლესობა. ხმის არმიმცემი მხედველობაში მიღებული არ იქნება. რეფერენდუმი არის ორნაირი. დამოუკიდებელი და პირდაპირი. კანონმდებლობის პრინციპი მოითხოვს აუცილებლად სავალდებულო რეფერენდუმს, ასე რომ სადაც ხალხი პირდაპირ კანონ-მდებლობს,—ხალხის დაუდასტურებლად კანონ პროექტი, წარმომადგენელ კრებულისაგან მიღებული, ვერ დაკანონდება, იქ აუცილებლად უნდა არსებობდეს სავალდებულო რეფერენდუმი. იქ სავალდებულოა ყოველ კანონ-პროექტს სახალხოდ კენჭი ეყაროს. მართლაც, შვეიცარიის იმ კანტონებში, სადაც სავალდებულო რეფერენდმი არსებობს, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მოიწვევენ მოქალაქეთ, რომ მისცენ ხმა ყველა ამ კანონების შესახებ, რომელნიც ამ დროს განმავლობაში შეიმუშავა საკანონმდებლო კრებულმა.

არის არა-სავალდებულო რეფერენდუმიც. ვთქვათ, საკანონმდებლო კრებულმა შეიმუშავა და გამოაქვეყნა კანონი. თუ კონსტიტუციის მიერ განსაზღვრულ დროს განმავლობაში მოქალაქეთა განსაზღვრული რიცხვი (შვეიცარიაში 30,000 კაცი) მოითხოვს რეფერენდუმს, მაშინ კანონი გადაეცემა ხალხს კენჭის საყრელად. და თუ კი დანიშნულ დროს განმავლობაში ასეთი განცხადება არ იქნება წარმოდგენილი, მაშინ კანონი საბოლოოდ შედის ძალაში.

როგორც ვხედავთ, რეფერენდუმს აქვს მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობა. ის ხალხს შეძლებას აძლევს უარყოს საკანონმდებლო კრებულისაგან მიღებული კანონი.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. აქ კანონის შემქნელად გამოდის მხოლოდ საკანონმდებლო კრებული. დემოკრატიული პრინციპი მოითხოვს, ხალხს ჰქონდეს უფლება პირდაპირ თვითონ გამოსცეს კანონი. ეს უფლება გამოიხატება ინიციატივაში. ინიციატივა ის არის, რომ მოქალაქეთა განსაზღვრულ რიცხვს უფლება აქვს—წამოაყენოს კანონი და მოითხოვოს ამ კანონისთვის სახალხო კენჭის ყრა, თუნდაც საკანონმდებლო წინააღმდეგიც იყოს ამისი. მოქალაქენი სასურველ კანონს გამოხატავენ ზოგადის სახით, ან წარმოადგენენ სავსებით შემუშავებულს. როცა კანონი ზოგადის სახითაა გამოთქმული და საკანონმდებლო კრებული მისი თანახმა არის, მაშინ იგი დაუყონებლივ შეუდგება კანონის დაწვრილებით შემუშავებას. მაგრამ, თუ საკანონმდებლო კრებული წინააღმდეგია კანონისა, მაშინ ის ხალხს დაეკითხება, საჭიროა თუ არა ესეთი კანონის შემოღებაო. თუ ხალხმა განაცხადა—საჭირო არის, მაშინ საკანონმდებლო კრებული, წინააღმდეგიც რომ იყოს, ვალდებულია კანონი შეიმუშაოს და მას გარკვეული სახე მისცეს.

ამნაირად ხალხის კანონმდებლობაში პირდაპირი, დამოუკიდებელი მონაწილეობა გამოიხა-

ტება ვეტოთი, სავალდებულო და არა სავალდებულო რეფერენდუმით და ანიციატივით. ყველა ეს ფორმები ცხოვრებაში უკვე არსებობს და შეძლებაც გვაქვს ისინი რამდენადმე მაინც დავაფასოთ და ამით გამოვხატოთ მათი მნიშვნელობა მომავალ პოლიტიკურ ცხოვრებისათვის.

ლ.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის იმ ნაწილის გამომძიებლები, სადაც **ყუმბარები ისროლეს**, ამ ჟამად დაწვრილებით გამოძიებას ახდენენ, ადგილობრივ საოლქო სასამართლოს ბრალმდებელის მეთაურობით.

◆ ძმ. ზუბალაშვილების **სახალხო სახლის** გამგეობამ საგუბერნიო სააღმშენებლო კომისიაში შეიტანეს ელექტრონის განათების გასამართი პროექტი. ეს პროექტი საგუბერნიო გამგეობამ არ დაამტკიცა და სთხოვა, სხვაგან გადაიტანეთ საელექტრონო სადგური, რადგანაც ქუჩაზე მოძრაობას დაუშლისო.

◆ ქართლ-კახეთის სამღვდელოების **რწმუნებულებმა დაადგინეს** ეცნობოს ექსარხოსს, რომ სამღვდელოების ეპარქიალური კრების მოწვევა საჭიროა.

◆ უსახელო საზოგადოებამ 400 **ათასი მანათი შეიტანა** ქალაქის კასაში მუხრანის ხიდის ასაგებად.

◆ **ტფილისში ჩამოვიდა** მინისტრთა კომიტეტის საქმეთა მმართველი დ. ს. ს. ბ-ნი ნოლდე.

◆ **ტფილისში ჩამოვიდა** კავალერიის მთავარ ინსპექტორი გენ. ლეიტ. რედიგერი.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა **ნება დართო** მოსკოვის ნადირობის მოყვარე საზოგადოებას, იჯარით აიღოს შემდეგი სანადირო ადგილები: შამხორისა, დალიაირისა, ყიზილგუნდისა, შამშადილისა და სხვა.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა ,,ტიფლისკი ლისტოკის'' მეორე **რედაქტორად დაამტკიცა ს. კ. მინაილოვი.**

◆ **მთავრობის განკარგულებით**, ამ რამდენისამე წლის წინად დახურული სამკითხველოები ქ. ოზურგეთსა და სოფ. ბახვსა, შემოქმედსა, ხიდისთავსა, ასკანასა, ჩოხატაურსა, ნაგომარსა, აკეთსა, ნიგოითსა, ლანჩხუთსა, ძიმითსა და სუფსაში დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას.

◆ კომერციულ სასწავლებლის მოსწავლეებმა შუამდგომლობა აღძრეს საღმთო სჯულის მასწავლებლის მ. ტყემალაძის წინაშე, რომ მათ საღმთო სჯული ასწავლოს ქართულს ენაზე. მ. ტყემალაძემ და დირექტორ სვატოშმა მათი თხოვნა ფინანსთა სამინისტროს წარუდგინეს დასამტკიცებლად.

◆ ტფ. სასულიერო სემინარიის მთავრობას სემინარიის **ზოგიერთმა მოსწავლეებმა თხოვნით მიმართეს**—დოკუმენტები მაინც მოგვეცით—გვჭირიაო. სემინარიის მთავრობა აგვიანებს... ჰფიქრობენ—სანამდე სინოდის გადაწყვეტილება არ მოვა, სემინარიის მთავრობა მოსწავლეების სრულიად დათხოვნას ერიდებაო.

◆ გუშინ ჩვენ ვწერდით, რომ ბანბაკელი თათრები ოცდა ათი ურმით სადღაც დაკარგულან. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, 20 **მათგანი სოფელ ჯანგიტანში სომხებს ამოუხოცნიათ**, დანარჩენები ჯერაც ვერ უპოვნიათ.

◆ ,,ინვალიდ''ში გამოცხადებულია, რომ **ომში უკვალოდ დაკარგულა** შირაპნის მაზრის მცხოვრებნი სამსონ კაპრაძე და ოქრებილაშვილი და დაჭრილა შირაპნის მაზრისავე მცხოვრები ირაკლი ოსაძე

◆ სამხედრო სასამართლომ ბათომში გაასამართლა სენაკის მაზრის მცხოვრებნი **გ. ლომაია და ა ბურგაია**, რომელთაც ფოთში ჟანდარმის უნტერ-ოფიცრის მოკვლა ბრალდებოდათ. სასამართლომ ლომაია გაამართლა, ხოლო ბურგაიას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, თანაც დაადგინა იშუამდგომლოს გენერალ-გუბერნატორის წინაშე, რომ ჩამოხრჩობა ბურგაიას კატორგით შეეცვალოს.

◆ როგორც ,,ცნ. ფურ.'' სოფ. ხურვალეთიდან ატყობინებენ, **ორი ოსი და ერთი ქართველი დასცემია** ილ. ქარუმიძისა და ს. მაღალაშვილის სახლს. ილ. ქარუმიძის სახლიდან წაუღიათ ერთი თუმანი ფული. იქვე გაუუპატიურებიათ მოსამსახურე გოგო. შესვლისას უთქვამთ, ჩვენ წითელ რაზმის კაცები ვართო. წასვლისას კი დაუშინებიათ, წითელ რაზმის წევრებს არ უთხრათ, რომ ჩვენ აქ ვიყავით, თორემ გაგაქრობთო. საზოგადოდ, ამ ბოლო დროს, როგორც გვწერენ, ქართლში ძალიან გამრავლებულან ხულიგანები და სხვის ქონების მოტრფიალენი. საკვირველია, რომ სოფლის მიერ არჩეული კაცები ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ...

◆ ბაქოში ნავთის მწარმოებელთა ერთმა ჯგუფმა გენერალ-გუბერნატორთან საჩივარი შეიტანა, უკანასკნელ არეულობის დროს მე-3 სტრელკოვი ბატალიონის **ჯარის კაცებმა სახლის აუარებელი ავეჯეულობა გაიტაცესო.** ამის გამო გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ბატალიონის ჯარის კაცნი ყველა გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი უპოვნეს. სამხედრო მთავრობა ამტკიცებს, ნავთის მწარმოებელთ ეს განცხადება იმიტომ შემოიტანეს, რომ უნდათ ჯარი ხალხის თვალში დაამცირონ და საკუთარ მილიციის დაარსების შესახებს თხოვნა გაამართლონო.

◆ ქ. ერევნიდან ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულ რიმსიმე ტრადატიანს კავკასიის ნამესტნიკმა ნება მისცა სამშობლოში დაბრუნებისა.

◆ ბორჩალოს მაზრაში მოსულ სეტყვას ამ მაზრის სოფლებისთვის დიდი ზარალი მიუყენებია.

◆ სამშაბათს, 27 სექტემბერს, ჯარის უფროსებსა და პოლიციას ბაქოში გაუჩხრეკია სახლები: ტერ-აკოფოვისა, გრიგორიანცისა, კოლესნიკოვისა, ფორერისა, კუზმინისა და სხვებისა, სადაც მთლად ერთიანად სომხები სცხოვრობენ, და უპოვნიათ **აუარებელი იარაღი და პატრონა.** პოლიციის განკარგულებით, იარაღი და პატრონები არტილერიის საწყობში გაუგზავნიათ, ხოლო სახლის პატრონნი დაუტუსაღებიათ.

◆ როგორც ჩაქვიდან გვატყობინებენ, 27 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე ვიღაც უცნობს **მოუკლავს სადგურის უფროსი** ვ. რ. ბელოუსოვი.

◆ ბალახანისა, საბუნჩისა, რამანისა და ზაბრატის სოფლების მცხოვრებლებმა ტფილისში კავკასიის ნამესტნიკთან დეპუტაცია გამოგზავნეს. **დეპუტაცია შუამდგომლობს**, ამ სოფლებიდან ეგზეკუცია გაიყვანეთ და თავდებად გიდგებით, მშვიდობიანობა არ დაირღვევა, თუ პირველად სომხებმა ხოცვა არ დაგვიწყესო.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა გენერალ-გუბერნატორს სთხოვა: მაცნობეთ, ვისგან უნდა მიიღონ **ველოსიპედისტებმა ნომრებიო.**

◆ გაგრიდან ,,კავკ.'' დეპეშით ატყობინებენ: ოთხშაბათს, 28 სექტემბერს, სამი ტყვიით მოჰკლეს გაგრის კლიმატიურ სადგურის უფროსი **შერემეტიევსკიო.**

◆ ოთხშაბათს, 28 სექტემბერს, სამხედრო სასამართლომ ბათომში გაარჩია **მუფტი ხოჯი მამედ ისმაილ ეფენდი-ზედეს მკვლელობის საქმე** სასამართლომ დამნაშავედ სცნო გიორგი მაჭარაშვილი და გიორგი სურმნიაცი და ორივეს სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტა, თანაც დაადგინა იშუამდგომლოს გენერალ-გუბერნატორის წინაშე, რომ ჩამოხრჩობა კატორგით შეეცვალოთ.

◆ სომეხ გრიგორიანთა ეპარქიის უფროსმა აცნობა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიას, ქ. ქუთაისში, სოფ. ახალქალაქში და დ. სურამში **სომხის საეკლესიო სკოლები დავაარსეთო.**

◆ როგორც სოფ. ქვიშხეთიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ, **სოფელში ჩაუყენებიათ ასი კაზაკი, ეგზეკუციად.**

◆ სოფელ პატარძეულის მცხოვრებნი დიდს მადლობას უძღვნიან ქ-ნ თამარა სპირიდონის ასულს ბაქრაძისას, რომელმაც სოფლის **სამკითხველოს შემოსწირა წიგნები.**

◆ ოზურგეთიდან გვატყობინებენ, რომ 26 სექტემბერს ადგილობრივ ციხეში **ტუსაღებს არეულობა მოუხდენიათ.** მიზეზი შემდეგი გარემოება ყოფილა. დღემდის ტუსაღებს დღეში ორჯელ უშვებდნენ თურმე ეზოში სასეირნოდ, იმ დღეს კი მხოლოდ ერთხელ მიუციათ სეირნობის ნება.

◆ როგორც ქუთაისიდან გადმოგვცემენ, სოფ. უხუთში (შორაპნის მაზრა) **კაზაკებსა და ყაჩაღთა ბრბოს** დიდი შეტაკება მოსვლიათ. ორივე მხრიდან მოკლული და დაჭრილი თურმე ბევრია.

პარასკევ დღეს სტამბოლში

(ჩემი მოგონებანი).

ჯიუმა—პარასკევი! სასიამოვნო გასაგონი იყო ხოლმე ჩემთვის.

როგორც მოგეხსენებათ პარასკევი მუსულმანების კვირაა, დასვენებისა და სეირნობის დღეა. ვისაც უნდა, რომ გაიცნოს ოსმალების ცხოვრება, ვისაც სურს შეისწავლოს ოსმალთა ზნე-ჩვეულება, ვისაც უნდა, რომ ნახოს ლამაზი, თუ ულამაზო ოსმალელი ქალი და ამ ქალების-მიერ დროს გატარება, იგი პარასკევ დღეს, უნდა წავიდეს ტკბილ წყალთა მინდვრებში, შიშლის მიდამოებში, სტამბოლს.

როცა სტამბოლში ვცხოვრობდი, ერთი პარასკევიც არ გამომიტოვებია. ყოველ პარასკევს დავდიოდი ხოლმე ოსმალთა გასართობ ადგილებში და ყოველთვის დიდი შთაბეჭდილებაც გამომქონდა, რასაც ჩემ დღიურში ვიწერდი ხოლმე.

ტკბილ წყალთა მინდვრებში ხან გემით მივდიოდი ხოლმე, ხან კი ფეხით—შიშლის გზით. გემით მოგზაურობა უფრო სასიამოვნოა, ვინაიდან თქვენ თვალ-წინ იშლება მშვენიერი და ტურფა სანახაობა. მთელი სტამბოლი—ხელის გულივით მოსჩანს და მისი ათასფეროვანება გატკბობთ და გხიბლავთ.

ძველის ხიდიდან ყარა-ალაჯამდე გემები ყოველ ნახევარ საათში ერთხელ კადიან და, მაშასადამე, დაგვიანება არ დაგაფიქრებს. შეგიძლიანთ მთელი საათობით იდგეთ ამ ხიდზე და უმზიროთ ათასფერად აჭრელებულ ხალხს, მთელის საათობით ათვალიეროთ ათასობით გამვლელ-გამომვლელი. არსად, მთელ დედამიწის ზურგზე, ვერა ნახავთ ისეთ აჭრელებულ ხალხს, როგორიც ამ ხიდზე მიდი-მოდის ხოლმე. ბევრმა პოეტმა ასწერა სულთანის მეუღლის ვალიდეს სახელობის ხიდზე „ხალხის მიმოსვლა", მაგრამ ყველაზე კარგად კი იტალიელ მოგზაურს ედმონდო დამიჩისა აქვს აწერილი.

ის „მიმოსვლა" ერთით „ათასი და ერთი ღამის" ზღაპრებს მოგაგონებთ. დავრიში, მოლა, ჰაჯი, ოსმალელი ვაჭრები და ხელოსნები, ფაშები, ოფიცრები, სალდათები, არაბები, მავრები, თეთრ კურტკიანი ალბანელები, ქურთები, ჩერქეზები, ესპანელი ებრაელები, ბრჭყვიალა მუნდირებიანი მოხელეები, ქალები—აჭრელებულის ტანისამოსით და, დაბოლოს, ევროპიელები დილით საღამომდე ბუზებივით ირევიან. მაგრამ უფრო მრავალ-ფეროვანსა და ზიზილოვან ბრბოს პარასკევობით ნახავთ, მაშინ, როდესაც სტამბოლიდან გამოდიან: დიდებულნი, ფაშები, აფიცრები და ფადიშაჰის სასახლის მახლობელ მეჩეთში მიემგზავრებიან, სალამალიქზე დასასწრებლად.

უკვე შორიდან გესმით მუსიკის ხმა, რომელშიაც გამოკრთის სევდიანი ჰანგი ძველის აზიისა. ხიდზე ძაფივით გაბმულან შავი მხედრები, შავის ცხენებით. ეს არის ცხენოსანი ჯარი, ყოჩაღ და მამაც ერთოგულებისა. ამ ჯარს წინ მიუძღვის საყვირის მკვრელნი და ჰამიდიეს მარშს უკრავს. ცხენოსან ჯარს მისდევს სადღესასწაულოდ მორთული ქვეითა ჯარი.

პარასკევობით ჯარების რაზმები რიგ-რიგად სდილობენ ხოლმე სულთანის სასახლეში, თუმცა სახელი „სასახლე" ვერა ხატავს იმ ცნებას, რომელიც ამ სიტყვასთან შეგვითვისებია. სასახლე ,,ილდიზ-კიოსკი'' და დოლმა-ბაღჩა'' რამდენიმე შენობაა, ერთი ერთმანეთზე დიდის ეზოებით დაშორებული.

ჯარს უკან მისდევს ძვირფასი ეტლები, ძვირფასის არაბულის ცხენებით. ეტლებში სასახლის წარჩინებულნი და დიდებულნი სხედან. ყველა ესენი იკრიბებიან სასახლის გალავანში და დიდებული სანახავიც არის, მაგრამ ჩვენ ისევ ხიდს დავუბრუნდეთ.

გემზე მიეშურებიან სადღესასწაულოდ მორთული ოსმალელი ქალები. ზოგი მათგანი ნამდვილი კეკლუცაა. აბრეშუმის ჩადრის ქვეშ მოუჩანს პარიზის უკანასკნელ მოდაზე შეკერილი კაბა, პაწია ხელებზე ძვირფასი—ხელთათმანები, კოპწია ფეხებზე—ძვირფასივე ბათინკები. ყველა ეს ამტკიცებს, რომ ამ ქალებს დიდი ხანია უარ უყვიათ ძველებური, ოსმალური ,,მოდა'' და უკვე ,,გალიბერალებულან'' ხოლო მათი სახის ინტელიგენტური გამომეტყველება და მიხვრა მოხვრა ჰმოწმობს, რომ იგინი მაღალი წრის ქალები უნდა იყვნენ.

ბანოვანნი რომ უკეთესად გამესინჯა, მოვუჯექ იმ ფარდას, რომელიც ქალთა და ვაჟთა განყოფილების შუაა ჩამოკიდებული. ქალები მიეშურებოდნენ ადგილების დასაკავებლად და ვერ ვიტყვი, რომ მერიდებოდნენ მე აქ. პირიქით. მოხუცებულების გარდა, თითქმის ყველა მოურიდებლად მესროდა თავის ტურფა თვალების ისრებს. თეთრი პირბადე მხოლოდ ნიკაპამდე ჰქონდათ ჩამოფარებული, მაგრამ ისეთი თხელი იყო ეს პირბადე, რომ სახის ყველა ნაკვთი უჩანდათ. მათი კოპწია ტუჩები და თეთრი კბილებიც კი ჩემთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. სახე სრულიად დაბურული მარტო იმათა აქვთ, ვისაც დასანახი და საჩვენებელი არა მოეპოვებათრა, ე. ი. ბებერ ქალებს.

გემი დაიძრა. მარცხნივ მოსჩანდა ლამაზი სტამბოლი, მარჯვნივ, ნაკლებად საყურადღებო, ,,ჩრდილო ქალაქი, ხოლო იქვე, ჩემ გვერდით,—ქალების განყოფილებიდან—მოისმოდა დაუსრულებელი ტიტინი ოსმალელ ბანოვანთა. თითოეულ სადგურზე ამ ქალთა რიცხვს ემატებოდა სხვა, სეირნობის მოყვარულ ქალთა, რიცხვიც.

ყოველ სადგურზე მრავლადაა ყავახანებიც. ამ ყავახანებში მოუკეციათ ოსმალელ მამაკაცებს, ჩაუდვიათ პირში ყალიონი და ოცნებას მისცემიან. ასე გეგონებათ ქალებს ვერც კი ამჩნევენო, მაგრამ ამავე დროს კი იგინი თვალებით სჭამენ იმავე ქალებს.

აი, მივედით პატარა სადგურ—ყარა-ალაჯთან. ამავე სადგურთან მოცურდნენ ქალებით სავსე ნავები. წითელი, ყვითელი, ლურჯი, შავი, ჭრელი კაბები და ამგვარივე ქოლგები ერთმანეთში აირია და მზის სხივებზე ათას ფერად აბრჭყიალდა.

ყარა-ალაჯიდან ყველამ ფეხით გავწიეთ ტრიალ და მწვანე მინდვრებისაკენ, რომელსაც გვერდზე პატარა რუ ჩაუდის.

ჯერ ისევ შორიდან გამოჩნდა ქალთა პატარა, თუ დიდი ჯგუფები. ესენი დამსხდარან მინდორზე ან წყლის პირად და ტკბილად, მხიარულად მასლაათობენ. ორისა თუ სამის ვერსის მანძილზე რამდენიმე ათასი ქალი მოგროვილა და მათი მრავალ-ფეროვნება თვალსა მტაცებს.

დავდივარ ამ ხალხში, ხან ერთ ჯგუფს შევჩერებივარ პირ დაღებული, ხან მეორეს, მაგრამ ჩემი ცნობის-მოყვარეობა არავის არა სწყინს, პირიქით ახალგაზრდა ბანოვანთ კიდევაც მოსწონთ ჩემი ასეთი მათდამი ყურადღება, მიცინიან, მეოხუნჯებიან და თან აქეთ-იქით იხედებიან, რომ

ფელეტონი

ტალღა

ის აზრი მართალი როდია, ვითომც ქვეყნის ზურგზე ორი ადამიანი არ მოიპოვებოდეს ერთმანეთის მსგავსი.

ამას წინად მე ვნახე ასი, ორასი, სამასი ადამიანი,—მეტიც,—რომელნიც ერთმანეთს ისე ჰგვანდნენ, როგორც მე ვგევარ ჩემს თავს, როგორც ზღვის ერთი ტალღა—მეორე ტალღას. საკვირველება ის იყო, რომ ქალს კაცისაგან ვერ გაარჩევდით და კაცს ქალისაგან, თითქოს მათი სქესებრივი თავისებურება ბუნებაში არც კი როდისმე არსებულიყოს.

ეს იყო ქუჩაში.

აუარებელ ხალხს მოეყარა თავი ქუჩის შუაგულში. თითოეულისათვის რომ ცალკე გეკითხნათ, რისთვის მოსულხარ აქაო,—ვერ გიპასუხებდათ, მაგრამ ალღოთი კი მიხვედრილი იყო, რომ ამჟამად მისი ადგილი სწორედ აქ არის. ხშირად შენიშნავდით ქუჩის პირად გაჩქარებით მიმავალ ადამიანს. ალბად საქმეზე მიეშურებოდა... მაგრამ, რა დაინახავდა თავ-მოყრილ ხალხს, მსწრაფლ გადაუხვევდა შუაგულისაკენ და ხალხს უერთდებოდა ხოლმე. ასე—ამ რიგად—იზრდებოდა ხალხის გროვა და, რადგანაც ქუჩის სიგანე საკმარისი აღარ იყო დასატევად, იგი სიგძეზე იშლებოდა.

შეჩერდა ქალაქის რკინის გზისა და ეტლების მიმოსვლა.

ეს მრავალრიცხოვანი კრებული ადამიანთა მოგაგონებდათ უშველებელ ობობას, რომელიც განუწყვეტლივ, შეუჩერებლივ ისრუტავდა თავისს გაუმაძღარ არსებაში ქალაქის ყოველ კუთხიდან ქალს, კაცს, ბავშვს... და თანდათან იზერებოდა, იზრდებოდა მისი დაუოკებელი სტომაქი...

ცოტა მოშორებით ვიდექ ქუჩის პირად და ყოყმანში ვიყავ, შევუერთებოდი ხალხს, თუ გზა ამექცია. გული მიჩქროლავდა... თავში ათასნაირი აზრი მიელავდა, ერთი მეორესა სცვლიდა ანაზდეულად. თან გული მითხრობდა შევსულიყავ სხვებთან ერთად და მეც მათში გავმდნარიყავ, ვით მათი თვისი და ტომი... თანაც გონების სამთავროში ეჭვი გამიფართხალდებოდა ხოლმე და მბორკავდა.

— რადა, რის გულისათვის? რა აქვს მიზნად ამ გვარ წუთიერ აღფრთოვანებას? განა თითონ ხალხმა კი იცის, თუ რისთვის შეგროვილა აქ, ან რისადმი ისწრაფვის?

ამგვარი აზრები მრავლად მებადებოდა თავში და ჩრდილში ჰხვევდა ჩემს გამოურკვეველ სურვილს—ამეძგერებინა გული სწორედ ისე, როგორც უძგერდა აქ მყოფ უმრავლესობას.

— ნუთუ შენი გონების მეტყველება უნდა დაუმორჩილო საერთო ფეხის ხმას და აჰყვე თვითმძრავ მანქანასავით მომქმედ ბრბოს?—ვეკითხებოდი ჩემსავე თავს.—რას ეტყვის ახალს აზროვნობის საწრთობში გამობრძმედებულს შენს არსებას ეს ტაროსისავით ცვალებადი აღტყინება ხალხისა? რას შეჰმატებს იგი შენს ცოდნას ადამიანის ულმობა-მოვალეობისას ამ ქვეყნად? ნუთუ ანკარა ნაკადულივით წმინდა და გამბანელი გგონია ბრბოს ეს გრძნობათა თარეში, რომელშიაც არავითარი ნიშან-წყალი გონების ვარჯიშობისა არ მოიპოვება?! მერე, ხომ იცი რა უსაზღვროა და უკიდეგო ხალხის ფრთონა? იგი უსიცოცხლოა, უვნებელი როცა სძინავს... მაგრამ თუ გაიღვიძა—ღვართქაფს ემსგავსის... ვინ იცის, სადამდის მიგახწევინოს... და რისთვის? ნუთუ მისთვის, რომ ნიავ-ქარივით უცბად აღძრულ ბრბოს უნაყოფო გატაცებას შესწირო შენი რწმენა?!..

სწორედ ამ სიტყვებით ვცდილობდი დამეოკებინა ჩემი მისწრაფება, რომ ერთბამად გაისმა ვიღაცას ხმა. ძნელი სათქმელია, რა ხმა იყო იგი — სასიმღერო თუ სალაპარაკო, რადგანაც არ დამცალდა გამერჩია.

პირველსავე ამოძახილთან ერთად, იგრიალა ხალხმა და გულის სიღრმიდან ამონახეთქი ქარტეხილის მსგავსი ხმა იმ ერთი კაცის ამოძახილს ზედ გადაება. მერე ეს უცბად ამონახეთქი ხმა აღარ შემწყდარა—ერთ მთლიან ჰანგად გადაიქცა.

რას იგრძნობდა შემუსიკე ამ ჰანგის გამგონი—ვერ გამოვიცნობ. მე-კი, ჩემ-თავად, გული დალუმად ამიტოკდა, თავში მოფორიაქე აზრები აქეთ-იქით გამეფანტა... სმენად გადავიქეც... ყურს ვუგდებდი გრიგალივით ხალხის მოზუზუნე სიმღერას—მგონია სიმღერა იყო—და ასე მეგონა, რომ ამ ჰანგში მოგროვილიყო ყოველნაირი გამომეტყველება ადამიანის ხმისა, რომელიც-კი დაუნათლებია მისთვის ბუნებას და რომლითაც იგი გამოხატავს ხოლმე სხვადასხვა გრძნობას თვისის სულხორცის არსებისას.

ხალხის უსიტყვო გუგუნში გამოითქმოდა ტანჯვაც, სიხარულიც, სიამეც და სიტკბოებაც. ხანდახან ყურში ჩამესმოდა უშველებელ უროს მძიმე, მკვეთრი ჯახუნი გრდემლზე... ქარივით ქშუილი ქურისა. ხან-კი ნიავს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩემსკენ მოჰქონდა ჰახრაკის ტკაცა-ტკუცი, ხერხის ხიხინი... ადამიანის ხამუშ ხამუშში ხვნეშა, ასე გონია გახშირებული ამოსუნთქვაა მძიმედ დატვირთულის მუშისაო.

სხვისა არ ვიცი და მე-კი, როცა ყურს ვუგდებდი ხალხის გუგუნს, ასე მეგონა ამ ზღვა-ადამიანთა ბაგეთაგან აღმოზიდული ხმა ხორცს ისხავდა და ჩემის გონების თვალს წინ ეკრთოდა შრომის სხვადასხვა სახედ. იქნება ეს მხოლოდ გრძნობათა ცდუნება იყო, სხვა არაფერი, მაგრამ მე კი იმ დროს მეგონა, რომ ეს გუგუნი უსიტყვო მატიანეა ხალხის ცხოვრებისა, თითონ ხალხის მიერ ერთს წუთში შეთხზული ძლიერის ექსტაზის ზეშთაგონებით.

როგორადაც ანდამატი მსუბუქ ჩალა-ბულას,—ისე მიზიდავდა ეს გუგუნი თავისაკენ. უძლური იყო ჩემი ციეი, დაჯდარი აზროვნება იმის წინაშე, რაც ახლა მთელს ჩემს არსებაში ხდებოდა. მაჯა სწრაფზედ-უსწრაფესად მიცემდა, სისხლის მოძრაობა გაორ-გასამ-კეცებული მქონდა, რის გამოც გულში ზვირთი ზვირთზე მასკდებოდა, სახე მიხურდა, თვალები მიელვარებდა.

სიფრთხილე, სიდინჯე ნაშთი-ღა იყო მხოლოდ მოგონებისა. ეს უმიზნოდ, უსაგნოდ შეკრებილი ბრბო ისე მეჩვენებოდა, ვით უსაზღვრო იდეა გონებით განუსჯელ შემოქმედობისა, რომელიც შეიქმს ნაყოფს მშვენიერებისას. დიაღ, მე ვგრძნობდი, რომ ეს ბრბო განხორციელებაა მშვენიერებისა, რადგანაც ამ ჟამად მას თანასწორად მიმადლებული ჰქონდა ნიჭი განადგურებისა და აღნაგობისა.

იგი იყო ძლევამოსილი ძალა!

ხალხის ძალა კი მშვენიერებაა!

იქნება ვცდებოდი, მაგრამ იმ წამს ასე მეგონა. რა ვიყავ მე მაშინ კერძოდ, ხალხის გარეშე მყოფი? უბრალო ანასხლეტი წნელი, რომელიც უგუნურად გამოჩრილა ტყრუშული ღობის წნულში... გაივლის თავქეიფა ვინმე და ხელის ოდნავის განძრევით ზედ ღობეზე მიაფშვნეტს.

აღარ ვინდომე განკერძოება და გადავეშვი ხალხის აზვირთებულ მორევში.

და რა ვიგრძენი? ის, რომ ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი... ვეღარ გამერჩია,—სად თავდებოდა ხალხი და სად ვიწყებოდი მე... ფარგალი ჩვენის ვინაობისა გაერთიანდა, როგორადაც გაერთიანდება ხოლმე ორი თანასწორი რგოლი, ერთი მეორეზე სწორედ დაწყობილი. ერთის სიტყვით, ჩვენ შევდუღდით.. ჩემი არსების თავისებურება ისე გადნა და გაილესა ხალხის არსებაში, როგორადაც გაწყალდება ხოლმე ზღვის თვალ უწვდენ ზედაპირზე მისი პაწია ზვირთი.

თავის დღეში არ მემღერა... არც ხმა მქონდა, არც სმენა... მაგრამ ახლა კი ვმღეროდი... რასა ვმღეროდი, არ ვიცი. ან ვინ მკითხავდა, რასა მღერითო, ან ვისა ჰკითხავდი... საჭირო იყო მხოლოდ ხმა ამოკვეთო და შევეერთებინა იგი დანარჩენებისათვის. ამას შენდა უნებურად გიბრძანებდა თვით შენი გული, შენი თავი..

ჩემს სიცოცხლეში ქუჩაში არ მიყვირნია, არც ბრალიანად და არც უბრალოდ... ახლა კი, რაც ძალი და ღონე მქონდა, გავკიოდი: „გაუმარჯოს ერთობას! ძირს კერძოობა! ძირს მტერი ხალხისა!.."-მეთქი თანაც, თითქოს კრივში ვყოფილიყავ, ვიქნევდი ხელებს და ვიღაცას მუშტებით ვემუქრებოდი...

ყოველთვის მორიდებული, დინჯი, წყნარი შინაც და გარედაც, ყოველი მოვლენის გონებით განმსჯელი, რომელსაც თითქმის უმეტეს შემთხვევაში გრძნობაზე ვაბატონებდი,—ახლა მოურიდებლად ვეხვეოდი კაცს, ქალს, ბავშვს... არ მერიდებოდა არც ჩემის ჭაღარა-ნარევ თმაწვერ-ულვაშისა, არც იმისა, რომ საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილი მეჭირა.

ან ვისი უნდა შემრცხვენოდა, ვის უნდა მოვრიდებოდი, რომ თითოეული იქ მყოფი—კერძოდ და ყველანი კი—საერთოდ ასევე იქცეოდა ეს ამოდენა ხალხი, თითქოს ყველას ერთი და იგივე თავი ჰქონოდეს,ერთი გული, ერთი პირი—სწორედ ისე მოქმედებდა, როგორც მე.

რაც უნდა ურწმუნოების გზას ადგეს ადამიანი, მაინც არ შეიძლება იმის არსების სულიერ სამფლობელოში სადმე მიღვერდილი არ იყოს მისტიური გრძნობა. დიად სულიერ რყევის დროს ეს გრძნობა უეჭველად თავს იჩენს ხოლმე.

მეც სწორედ ასე დამემართა... ჩემი სულთაძვრა სარწმუნოებრივ ექსტაზსა ჰგავდა, მისტიურის იერით იყო დასვევდებული. მას შემდეგ, რაც კი აზროვნობა შევიძელ, ასეთი ზე-აღმტაცი წამი არ მიგვრძვნია. ასე მგონია, რომ მე და მთელი ეს უშველებელი ბრბო რაღაც სიწმინდისაკენ მივისწრაფოდით... აი, საცაა გამოჩნდება ღვთაებრივის შარავანდედით მოსილი აღთქმის ქვეყანა და თვალით განვიცდით სამოთხის მშვენებასამეთქი.

ამ წამს ბედნიერი ვიყავ... ბედნიერიც უნდა ვყოფილიყავ, რადგან ერთის წუთითაც არ აღმძვრია სურვილი, რომ რითიმე გათავებულიყო ასეთი ყოფა. და თუ არა-ბედნიერი, ვინ არის კმაყოფილი თვისის მდგომარეობისა, თუნდა ხან-მოკლეც იყოს ეს მდგომარეობა?! დანარჩენებიც ყველა ბედნიერნი უნდა ყოფილიყვნენ, იმიტომ,რომ თითოეულის სახე თანაბარის ღიმილით იყო გაბადრული, თვალთა თანამსგავსის ელვარებით აციმციმებული. ყველა ერთსა ჰგავდა და ერთი კი ყველას.

ამრიგად წინ მივიწევდით სიმღერით, „ერთობის" და „ვაშას" ძახილით.

ამ დროს მოულოდნელად ვიღამაც დაიძახა:
—არიქათ, ჯაშუში!..

ნელის ნაბიჯით მავალი ხალხი, როგორც ერთი ადამიანი, ერთბაშად შესდგა და გაჩუმებული ერთ წამს ადგილობრივ ირყეოდა, თითქოს ნიავისაგან აშლელვარებული ყანაო. ყველას სახეზე,—ალბად ჩემსაზედაც,—ლანდივით რაღაცამ გადაირბინა და ბოლოს ეს რაღაცა სიფითრედ გადაიქცა. ვიგრძენ, რომ ტუჩები მითრთოლავს და გული გაქან-გამოქანებით მიცემს. ეჭვ-გარეშეა, სხვებსაც ასევე დაემართათ, რადგანაც შეუმჩნეველი არ დამრჩა მათი თვალების მეტყველება, რომლებშიაც ბოროტების ნაპერწკალმა დაიკვესა. ყველას სახეზე გაჰქრა ღიმილი წელანდელის ნეტარებისა, სამაგიეროდ კუშტი, მწყრალი გამომეტყველება აღიბეჭდა.

ყოველივე ეს ანაზდეულად მოხდა, თვალის დახამხამების უმალ.

— ჯაშუში, ჯაშუში!—კვლავ გაისმა.

ახლა-კი დაიძრა ხალხი და, აქამდე ფართოდ გაშლილი, ელვაზე უსწრაფესად ერთ ადგილს შეჯგუფდა. ყველა შუაგულს მიეტანა, საცა ჩოჩქოლი იყო. ერთი-მეორეს აწვებოდა, ჰქელავდა, ზედ ახტებოდა, ოღონდ-კი მიეღწია ჯაშუშამდე. ატყდა საშინელი ყიჟინა და ღრიანცელი. ქალების წივილ-კივილი, კაცების როყინი, ბავშვების მყივანა ხმები გადაება ერთმანეთს და ქარტეხილივით მოედვა ქუჩას.

მეც გამიტაცა ამ მოძრაობამ. ხელების პარჭყუით, პირზე დორბლ-მომდგარი იქითკენ ვიწევდი, საცა ჯაშუში მეგულებოდა და თანაც ხრინწმორეულის ხმით ვყვიროდი: ჩაჰქოლეთ ეგ უწმინდური! სიკვდილი მაგას!.. არ გაუშვათ ცოცხალი!.. მთელი ჩემი არსება ერთ ნატვრად-ღა იყო გადაქცეული—ხელში ჩამეგდო ჯაშუშის დაწყევლილი ენა, რომ მკლავზე დამეხვია და ისე ამომეძრო იმის პირიდან. ცეცხლი და შამფური რომ მქონოდა, მის თვალებ წინ შევწვავდი იმ საზიზღარ ენას და შესათქვლეფად ძაღლებს გადავუგდებდი.

შუაგულზე ახლო ვიყავი და სწორედ იქ იყო ჯაშუში შეპყრობილი. ხან ვის გავუძვერ ფეხებ ქვეშ, ხან ვის გადავახტი თავზე და, როგორც იყო, მივაღწიე ჯაშუშამდე.

ოცს, ორმოც ხელს ეჭირა ის შეჩვენებული. ზოგს ყელში ჩაევლო, ზოგს თმაში, ზოგს წვერში, ყურში, მკლავში—ერთის სიტყვით მთელი მისი არსება ხელებით იყო დახუმბრული. ტანისამოსი მთლად შემოფლეთილი ჰქონდა და სხეული ჩასისხლიანებული.

ენა ვერ დავუნახე, რადგანაც მხრებზე სახის მაგიერ აკეპილ ხორცის გუნდსავით რაღაც რამ ება.

— ჰაი, შე იუდავ, გამცემელო-მეთქი—დავიძახე და კბილთა-ღრჭენით ვტაცე ხელი თმაში

რომელიმე ბებერმა ხელი არ შეუშალოთ.

ცოტათ თუ ბევრად ცნობილის კაცის ქალები ხალიჩებზე სხედან, ეტყობათ რამდენიმე ოჯახის ქალი და ბავშვი დროს გასატარებლად ერთად შეერთებულან: სმენ შარბათს, სჭამენ ტკბილეულობას, ხილს და ერთმანეთ ჭორებს ელაპარაკებიან. ბავშვებიც სუფთად და კოხტად ჰყავთ ჩაცმულები. ასეთი ლამაზი ბავშვები და მოსიყვარულე დედები სხვაგან არსად მინახავს.

იქ, სადაც ახალგაზდა ქალები ან რომელიმე მდიდრის ჰარამხანის ქალებია, დროს უფრო მხიარულად ატარებენ: მღერიან, თარს უკრავენ, პაპიროსს ეწევიან და, იმისდა მიუხედავათ, რომ თავზე შავი ყორანივით დასტრიალებს ზედამხედველი,—საჭურისი-არაბი,—გამვლელ-გამომვლელ მამაკაცებს თავს აწონებენ, ეარშიყებიან.

არა ერთხელ შემიმჩნევია, რომ აქ ტკბილ წყალების ველთა შორის, ახალგაზდა ქალები სიყვარულს აცხადებენ ხოლმე. რომელიმე ჯგუფს უახლოვდება, მაგალითად, ერთ ერთი ოფიცერი ცხენზე კოხტად გამოჭიმული, თვალებს აქეთ იქით აცეცებს და, აი, ერთ ერთ-ქალს ესროლა წერილში გახვეული ხილი, ან კამფეტი და ისევ გაჰქუსლა. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ მოდის ამ ჯგუფთან—ხილის ამღები კეკლუცი რაღაცას ანიშნებს და დაიმედებული აფიცერი თვალთაგან ჰქრება. ყველა ამას კარგად ამჩნევს ქალთა მფარველი—ეშმაკი საჭურისი, მაგრამ ქალი სიცილით რაღაცას ეუბნევა და საჭურისიც ჩუმდება.

ძველებურ სისასტიკეს აღარ მიჰმართავენ ხოლმე, რადგანაც დიდი ხანია ოსმალელი ქალი თავის უფლების მოსაპოებლად იბრძვის და ევროპიელი ქალები, რომლებიც კი ოსმალების სახლებში დაიარებიან, ერთხმად ამტკიცებენ, რომ ოსმალელმა ბანოვანებმა კარგა ხანია ქმრებს ხმა ჩააწყვეტინესო.

საპარასკევო გასართობთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავიათ თეატრებსაც. უფრო საყურადღებო დრამატიული თეატრია, კადიკიესკში, აზიურ ნაპირზე. ამ თეატრში თამაშობენ გვარიან პიესებს, როგორც ორგინალურს ისე ნათარგმნებს და უფრო განათლებული ხალხიც დადის.

ყველაზე უფრო ბევრი ხალხი ეტანება კომედიებს, (მილლი) რომელნიც ვითომ ოსმალურია, მაგრამ შინაარსი კი ხშირად ევროპის ცხოვრებიდანაა აღებული. ეს კომედიები უმთავრესად იდგმება იმ თეატრში, რომელიც აგებულია კუბდილის მინდორზე, კადი-კიესკშივე. წარმოდგენები ამ თეატრში იწყობა ნაშუადღევს და მთელი თეატრი ქალებითაა ხოლმე სავსე. მართალია, თვით პიესები უშინაარსო და უბრალოებია, მაგრამ მაყურებელი მაინც ოსმალეთის ცხოვრების ბევრ საყურადღებო მხარეებს ეცნობა. ამ წარმოდგენებში ხშირად ახდიან ხოლმე ფარდას ჰარამხანის ცხოვრებასაც. ოსმალეთის ცხოვრება იმდენად ტიპიური, თავისებური და მდაბიურია, რომ სტამბოლში მცხოვრები უცხოელი ყოველთვის პოულობს თავის გასართობს, მით უმეტეს, რომ ოსმალნი მეტისმეტი გულკეთილნი, გულწრფელნი, თავაზიანნი და სტუმართ მოყვარენი არიან.

არტურ ლეისტი.

და დავუწყე გლეჯა. ისე ვიყავ გამძვინვარებული, როგორც ონავარი ნადირი. ხალხის გამუდმებული ღრიალი და წაქეზება ერთი ორად მაშმაგებდა და, რაც ძალი და ღონე მქონდა, თმას. ვეწეოდი მოსახერხებელი რომ ყოფილიყო ჩემი არსების ორად გაყოფა—წინანდელსა და ახლანდელზე—და პირველს შესძლებოდა მეორისთვის თვალ-ყური ედევნებინა, დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს ვერ იცნობდნენ. არც ერთი ნაკვთი ჩემის ჩვეულებრივის ხასიათისა, სურვილებისა, გრძნობისა, გონებისა ახლათან როდი-ღა მახლდა. და რასაც ამ ჟამად მე თვისებას ვიჩენდი—ის ჩემი როდი იყო, ის იყო ყველა იქ მყოფისა და არა მარტო ჩემი. ამ შესანიშნავ წამს ისე ვგვანდი ჩემს გვერდით ვიღაც მყვირალა გიმნაზიელს—ასე 13—14 წლისას,—როგორადაც გაჭრილი ვაშლის ერთი ნაჭერი—მეორესა ჰგავს.

დიდიხანი გაგძელდებოდა ხალხის ასეთი შმაგი მდგომარეობა, და ვინ იცის რა მიმდინარეობას არ მიიღებდა, რომ უცბად ჩვენს შორი-ახლოს არ დაეყვირნათ:

—ჯაშუშმა თავს უშველა! აგერ, მირბის!

მსწრაფლ ყველამ თავი ვანებეთ ჩვენს მსხვერპლს და იქით მივაშურეთ, საითკენაც დანარჩენები მირბოდნენ. მაგრამ აწ გვიან-ღა იყო. ვიღაც კაცი, რომელიც ბრბოს კარგა მანძილზე გასცლოდა, გამალებული მირბოდა ქუჩაში. მისი დაწევა შეუძლებელი იყო.

რა-კი ბრბო გაიფანტა და თავი დავაღწიე მის შემბორკველ ბრჭყალებს, მაშინვე გამოვერკვიე თავ-დავიწყებიდან. ამავე დროს ვიგრძენ, რომ ხელში რაღაც ლორწოიანი რამ მიჭირავს. დავიხედე და თავიდამ ფეხებამდე შევირყე, ისეთი შემაძრწუნებელი იყო ის, რაც მე დავინახე. ხელში მეჭირა სისხლში გასვრილი თმის ბღუჯა, საბრალო თავიდან ხორციანად ამოგლეჯილი. საშინლება რამ ვიგრძენ. გაციებ გაცხელებულივით ვიყავი, სახე მითახთახებდა, მუხლები მეკეცებოდა, კბილს კბილზე ველარ ვახვედრებდი, ჰაერი არ მყოფნიდა სასუნთქველად. ზიზღით გადავისროლე ქუჩაზე ის საშინელი ხორცის ნაფლეთი და ბარბაცით გავსწიე სახლისკენ. ვცდილობდი მალე გავცლოდი ამ საზარელ ადგილს, სადაც მე ისეთი დანაშაული ჩავიდინე, რომლის მოქმედება სხვა გარემოებათა შორის აღემატებოდა ჩემ სულხორცის ძალას.

მაგრამ მაშინ ხომ მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი.

აი, რა აზრი მიბჟუტავდა შორიდან კანდელივით იმ წუხილის უსაზღვრო ზღვაში, რომელშიაც მე ახლა ვიღრჩობოდი.

ილია ელეფთერიძე.

რუსეთი

ომსკში, 17 დღის განმავლობაში, განუწყვეტელი კრება ჰქონდათ ომსკის ეპარქიის წარმომადგენლებს. კრებამ მეტად **დემოკრატული რეზოლუციები** დაადგინა და შესაფერად დაჰგმო სამღვდელოებაშიაც გამეფებული ბიუროკრატიული რეჟიმი. ამ ამბავმა ძალიანააშფოთა ომსკის ეპისკოპოსი მიხეილი, რომელმაც თავმჯდომარე—მღვდელ კიპაროვი და მდივანი გოლოშუბინი ჩრდილოეთ გუბერნიებში, ომსკიდან 1000 ვერსის სიშორეზე გაგზავნა (რ. ვ.).

◆ სიმფეროპოლის გუბერნატორმა **სავალდებულო დადგენილება** გამოაცხადა და ხალხს აგიტატორებისა და დემონსტრანტების დაჭერა დაავალა (ნ.).

◆ „ნოვოსტი" ასე ასწერს **მოსკოვში მომხდარ დემონსტრაციებს:** „23 სექტემბერს რამდენიმე ათასი კაცი, რომელთა შორის მრავალი სტუდენტიც იყო, წითელ დროშებითა და მარსელიეზის მღერით მოსკოვის მთავარ ქუჩებზე გავიდა. აქ დემონსტრანტებს ჟანდარმების რაზმი დაუხვდა. ხალხმა მათ რევოლვერები დაუშინა. ჟანდარმებს დონის კაზაკთა ორი ასეული და გრენადერთა ორი როტა მიეშველა. ჯარი და ხალხი პუშკინის ძეგლთან შეიყარნენ, აქ საღამოს 7 საათამდის ორატორები სიტყვებს ამბობდნენ. მეორე დღეს ,,სტრასტნოი'' ბულვარზე ხალხმა ჟანდარმებს ქვები და რევოლვერები დაუშინა. მძიმედ დაიჭრა ჟანდარმების როტმისტრი ველიჩკოვსკი, რომელსაც ხალხი ეცა და მისი გაჭყლეტა უნდოდა, მაგრამ დაჭრილს გარშემო სტუდენტები შემოეხვივნენ, ხალხსა და ჟანდარმებს უკან დააწევინეს, როტმისტრი ეტლში ჩასვეს და საავადმყოფოში წაიყვანეს. ამ შეტაკების დროს, 12 პოლიციელი დაიჭრა. ჯარმა ხალხი გაფანტა, მაგრამ დემონსტრაცია მაინც ვერ მოსპო, რადგან ერთგან გაფანტულნი მეორე ალაგას იკრიბებოდნენ. საღამოს ჟამზე ქალაქი ჯარით გაივსო. ახლო-მახლო ქუჩებში 4 პოლკი ქვეითა ჯარი დადის, კაზაკთა ორი პოლკი და რამდენიმე ასი პოლიციელი დააყენეს. „მოსკ. ლისტ"-ის რედაქციასთან ხალხსა და პოლიციელებს დიდი. შეტაკება მოუხდათ. ამ შეტაკებაში 40-ზე მეტი პოლიციელი დაიჭრა. ,,რუსკ. ლისტ''-თან მოჰკლეს ერთი უნტერ-აფიცერი და მძიმედ დასჭრეს რამდენიმე სალდათი და პოლიციელი. მეორე დღეს, პუშკინის ძეგლთან შეტაკების დროს ერთი კაზაკთა აფიცერი ცხენიდან გადმოვარდა. აფიცერს ხალხი მიესია და ერ წუთში გასრისა. ამავე დღეს მოსკოვის გენ.-გუბერნატორმა ასოთ-ამწყობებს შეკრების ნება მისცა. კრებაზე მონაწილეობას იღებდა 2000 კაცი. დანარჩენი ხალხი ამავე დროს მთელ მოსკოვში დემონსტრაციებს განაგრძობდა (ნ.).

◆ 17 აპრილს პეტერბურგში **შემდეგი ამბავი მოხდა:** საზღვაო შტაბის პოლკოვნიკი ნაშანოვი ქუჩაში ერთ მატროსს შეხვდა და კიცხვა დაუწყო იმის გამო, რომ მატროსს სრული საზღვაო ფორმა არ ეცვა. ლაპარაკის დროს პოლკოვნიკს სტუდენტი დემენკოვი მიუახლოვდა და ხელი ჰკრა. პოლკოვნიკმა ხმალი ამოიღო და სტუდენტი დააპატიმრებინა. პეტერბურგის საოლქო სასამართლომ 23 სექტემბერს ეს საქმე გაარჩია და სტუდენტს დემენკოვს 3 თვითა და 10 დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა (ს. ო.).

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

30 სექტემბერი.

სტამბოლი, 29 სექტემბერი. ათინის ბანკმა გარდასწყვიტა, კრიტოსის კრების მიერ ნასესხები 500,000 ფრანკი გაასაღოს, კრიტოსის სახელმწიფო ვალი $5^{1}/_{2}$ მილიონს აღემატება.

ჰელსინგფორსი, 29 სექტემბერი. შაბათს „ბელმასტრა"-თი განგეზე წავიდა 77 ემიგრანტი, ხოლო გუშინ—193.

პეტერბურგი, 29 სექტემბერი. პეტერბურგის კონსერვატორია ახალ განკარგულებამდე დაიხურა. პროფესორთა საბჭომ მოწაფეთა ქცევა 24 სექტემბრის კრებაზე არა სასურველად სცნო.

პეტერბურგი, 29 სექტემბერი. ტავრიჩესკის სასახლის მოსაწყობად, სადაც მოთავსდება მომავალი სახელმწიფო საბჭო, განსაკუთრებული კომისია შესდგა.

პეტერბურგი. ნავთის კრიზისის გამო გზათა მინისტრმა გარდასწყვიტა ჩრდილოეთ რკინის გზებისთვის შეიძინოს ქვის ნახშირი. ერთი ნაწილი ინგლისში შეუკვეთა, ზოგიც დონეციდან მოვა.

ბაქო, 29 სექტემბერი. ნავთის ქარხნებში 20 ვიშკა უკვე მზად არის, ზოგს შეკეთების მეტი არა უნდა-რა. მასალა ასტრახანიდან ყოველ დღე მოდის. ხელოსან დურგლები ცოტანი არიან.

ვაგზლის ნაწილში ორი სომხის ტერ-გრიგორიანცის და ტერ-აკოფოვის სახლი გასჩხრიკეს და აურებელი იარაღი და პატრონა იპოვნეს. სახლის პატრონები დააპატიმრეს.

დონის-როსტოვი, 29 სექტემბერი. დამშეულ გუბერნიებიდან მოსულ მუშებით ქალაქი ივსება. საშინელი გაჭირვებაა. ქალაქის საავადმყოფო სავსეა. უსაქმოდ დარჩენილი მუშა აქედან მიეშურებიან სხვა-და-სხვა ქალაქების ნავთსადგურებში, მაგრამ იქაც სამუშაოს ვერ შოულობენ.

მინსკი, 29 სექტემბერი. საერობო კრებამ ერთხმად დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ საქალაქო და საერობო თვითმართველობაში ქალებს აქტიური და პასსიური საარჩევნო უფლებანი მიენიჭოთ.

ხარკოვი, 29 სექტემბერი. საბჭომ გადასწყვიტა მოიწვიოს საგანგებო კრება და განიხილოს საკითხი საშუალო სასწავლებლებში სწავლის საქმის მოწყობის შესახებ. ამ სასწავლებლებში, ეს რამდენიმე დღეა, სწავლა შესწყდა.

კაპშტადტი, 29 სექტემბერი. როგორც კაპლენდის მთავრობა ოფიციალურად იუწყება, გოტენტოტების წინამძღოლებმა მარენგომ და მორრისმა, ცხარე ბრძოლის შემდეგ, გერმანელების ბანაკი აიღეს. გერმანელებს მოუკლეს ლეიტენანტი, ხუთი სალდათი და ერთი ფერმერი, რვა სალდათი დაუჭრეს. გოტენტოტებს ზარალი არა მოსვლიათ რა. მათ საწყობებიც ხელში ჩაიგდეს. ტყვეებს იარაღი წაართვეს, გენერალ ტროტესთან გაგზავნეს და თან მარენგოს წერილი გაატანეს. მარენგო სწერს, გოტენტოტები მზად ვართ იერიში მივიტანოთ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდის ვიბრძოლოთო.

კალიში, 29 სექტემბერი. გუბერნატორმა მიიღო ცირკულიარი, რომელიც განმარტავს 6 ივლისს უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის დადგენილებას გმინების საქმის წარმოებაში ადგილობრივ ენების ხმარების შესახებ. რუსული ენა სავალდებულოა. რუსულთან ერთად ადგილობრივ ენის ხმარებაც შეიძლება, მაგრამ სავალდებულო არ არის და უნდა შეტანილ იქმნეს გმინის დადგენილებით. ამ გმინებმა, სადაც უმრავლესობა გერმანელები არიან, პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ გმინის საქმის წარმოებაში პოლონური ენა შეიტანეს.

პეტერბურგი, 29 სექტემბერი. 27 სექტემბერს პრივისლიანსკის მხარეში ხოლერით სამი კაცი გახდა ავად, ქალაქ ლოძში—16, ორი ამათგანი გარდაიცვალა. ლომჟის გუბერნიაში ხოლერით ავათ აღარავინ გამხდარა. შავი ჭირით ავად აღარავინ გამხდარა აგრეთვე სოფელ დიდი ნარაში და სადგურ მანჯურიაზე.

მოსკოვი. მოსკოვის საცენზურო კომიტეტი სამართალში აძლევს და მათ, რომლებმაც გამოსცეს შემდეგი წიგნი: „Общество русскихъ врачей въ память Пироговскаго съѣзда по борьбѣ съ холерой".

30 სექტემბერი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ."-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობები პოლიციის დეპარტამენტისა: აგვისტოს დამდეგიდან ღ. სიტინის ტიპო-ლიტოგრაფიის მუშებში (რიცხვით ათას ასათი) დაიწყო მოძრაობა მხოლოდ ეკონომიურ ინტერესების ნიადაგზე. 11 აგვისტოს 400 მუშამ თავი მოიყარა ტიპო-ლიტოგრაფიის შენობაში, თავისთან მიიწვიეს ფაბრიკის მმართველი ვასილიევი და წარუდგინეს მოთხოვნილებანი, რომლებშიაც უმთავრესად იხატებოდა სამუშაო დღის შემოკლება 9 საათამდის (უქმეების წინა დღეებში რვა საათამდის) და სამუშაო ქირის მომატება. 13 სექტემბერს დირექციამ გამოაცხადა, რომ ამა წლის 1 ოქტომბერს ამხანაგობის სახელოსნოებში დაწესებულ იქმნება 9 საათის სამუშაო დღე, განურჩევლად კვირა-უქმეების წინადღებისა, რომ ავადმყოფ მუშებსაც მიეცემათ განსაზღვრული დახმარება, შრომის ფასის მომატებაზე კი ამხანაგობამ უარი სთქვა, რადგანაც მიღებულის წესით ქირას უმატებენ ხოლმე თანდათან დამსახურების მიხედვით, ჩვეულებრივ აღდგომის დღესასწაულის წინ, რომ გარდა ამისა ამ უკანასკნელ დროს ამხანაგობამ თვიური ჯამაგირი სახელოსნოებში მომუშავეებისა გაადიდა სამი ათასი მანეთით. ამის საპასუხოდ ასოთ-ამწყობთა ერთმა ნაწილმა, რომელიც არ იყო კმაყოფილი გამოცხადებულ დათმობისა, დირექციას წარუდგინა ახალი მოთხოვნანი, რომლებშიაც უმთავრესად ეს იყო გამოთქმული,—რომ დირექციას შრომის ქირა უფრო გაედიდებინა და ათას ასოზე, ნიშნების ჩათვლითურთ, ახალის ნიხრით დაენიშნა ფასი. ამასთანავე წიგნის დამკაზმველებმაც, რომელნიც ცალობით მუშაობდნენ და ამიტომ სამუშაო დღის შემოკლებით ზარალობდნენ, მოითხოვეს ხელფასზე 10 პროცენტის მომატება, რის გულისათვისაც მოიწვიეს ქალაქ მოსკოვის მეორე ნაწილის საქარხნო ინსპექტორი. ინსპექტორი მხოლოდ შუამავლობას შეჰპირდა, ხოლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება თავს ვერ იდვა, ვინაიდან ეს არსებულ კანონს არ შეესაბამებაო. 19 სექტემბერს, დილის 11 საათზე, ამ დარგის მუშებმა სტამბის გამგეს მიჰმართეს და გადაჭრილი პასუხი მოსთხოვეს. გამგემ უარი განუცხადა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ამის პასუხად მუშებმა სამუშაო მიატოვეს. ამათ მხარი მისცეს სხვა მუშებმაც, სულ 1100 კაცმა. 12 სექტემბერს, დილით ქალაქის მეორე ნაწილში ბახმანოვის უბანში ძმათა შაპოვების 300 ფეიქარი და 250 მუშაც გაიფიცა და თავისი მოთხოვნილებანი წარუდგინეს ქარხნის ადმინისტრაციას. მოთხოვნილებანი პირწმინდად ეკონომიურ ხასიათისა იყო. 15 სექ. ძმათა სევასტიანოვების ქარხანაში გაიფიცა 145 მუშა, 17 სექტემბერს გაიფიცნენ შეიბელის სტამბის მუშებიც—60 კაცი. ამ გაფიცვებით ისარგებლა ეგრედ წოდებულმა მოსკოვის ტიპო-ლიტოგრაფიის მუშათა კავშირმა და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად საერთო მოთხოვნილებანი შეიმუშავა. მოთხოვნილებანი მუშებში გაავრცელეს ცალკე ფურცლებით დაბეჭდილი და ჰექტოგრაფიულიც. როგორც აღმოჩნდა სტამბის მუშათა გაფიცვას ხელს უწყობდა სიტინის ტიპოგრაფიის მუშათა აგიტაცია. 19, 20 სექტემბერს გაფიცვა შრომის სხვა დარგებსაც მოედვა და 24 სექტემბერს მუშაობა 50 სტამბაში შესწყდა. გაფიცულთა რაოდენობა 5900 კაცს აღემატებოდა. თითქმის ყველა სტამბებში წარმოადგინეს მხოლოდ ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებანი, რომელნიც შემუშავებული იყო ზემოხსენებულ კავშირისაგან. 22 სექტემბრამდე გაფიცულ მუშებს თავი მშვიდად ეჭირათ, ხოლო ამ დღის შუადღიდან დაწყებული მუშები ჯგუფ-ჯგუფად გამოჩნდნენ ქუჩებში, განსაკუთრებით ტვერის ბულვარზე. აქ საღამოს ექვს საათზე თავი მოიყარა მუშების ჯგუფმა ას კაცამდე, მათ შეუერთდნენ ხულიგნები და ქუჩის ბავშვები და ერთად გაემართნენ სტრასტნოი ბულვარის გზით უნივერსიტეტის სტამბისაკენ, სადაც ცდილობდნენ ძალდატანებით მუშაობის შეჩერებას, აქვე ჩაამტვრიეს ,,მოსკოვის უწყების'' კანტორაში რამდენიმე ფანჯარა. ზოგმა მოინდომა სტამბის ეზოში შესვლა და ამისთვის ძალით ალაყაფის კარების გაღება, მაგრამ მოუსწრო პოლიციის რაზმმა და ბრბო გაჰფანტა 23 სექტემბერს გაფიცულთა რაოდენობამ იმატა და ამიტომ მათ შორის აღელვება გაძლიერდა. სტამბის გაფიცული მუშები აქა-იქ ჯგუფებად იკრიბებოდნენ. დილიდან დაიწყეს იმ ქარხნების ჩამოვლა, სადაც მუშაობა არ იყო შეწყვეტილი და მუშებს გასაფიცავად აქეზებდნენ, ზოგიერთ ადგილს ძალასაც ატანდნენ, მაგრამ საქმეში ჩაერია პოლიცია და ჯარი და ქარხნებთან არ მიუშვეს. ნაშუადღევის სამ საათზე გაფიცული მუშები ათას კაცამდე ცალკე ჯგუფებად შეიკრიბნენ საპატრიარქო გუბეს სკვერში, აქ მათ შორის მალე გამოჩნდნენ აგიტატორები,—უმეტესად სატახტო ქალაქის უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლენი, რომელნიც არწმუნებდნენ მუშებს, გაფიცვა განეგრძოთ და აგრეთვე პოლიტიკური მოთხოვნილებანი წამოეყენებინათ. სამწუხაროდ, პოლიციამ დროზე ვერა გაიგო-რა ამ ყრილობის შესახებ. ყოველ შემთხვევაში იქ გაგზავნილ იქმნა პოლიციელთა რაზმი და კაზაკები, რომელთაც ბრბო გაჰფანტეს; მაგრამ ჩქარა ბრბო ისევ შეიკრიბა პატარა ბრონის ქუჩაზე და აქედამ გაემართა ტვერის ბულვარისაკენ. აქ ჟანდარმების და კაზაკების რაზმებმა ბრბო გაჰფანტეს. დემონსტრანტებმა დაუშინეს ქვები ჯარის კაცებსა და პოლიციელებს და სტრასტნი მოედანზე დააშავეს ჟანდარმების ნახევარ ესკადრონის კამანდირი ველიჩკოვსკი და ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი. ამას გარდა ბრბოდან გამოსროლილ რევოლვერით დაიჭრა ჟანდარმის დივიზიონის კაცი. საღამოს 6 საათზე გაზეთ „მოსკოვის ლისტოკის" სტამბასთან ვაგანკოვსკის ვიწრო ქუჩაში მოიყარა თავი სტამბის მუშათა ბრბომ და ცდილობდა ძალდატანებით მუშაობაზე ხელი აეღებინებინა სტამბაში მომუშავეებისთვის, მაგრამ ეს ბრბო გაჰფანტეს ყაზახებმა და პოლიციელებმა. საღამოს რვა საათზე ბულვარებზე მიმავალ სუმსკის დრაგუნის პოლკს ნიკიტსკის ბულვარიდან დაუშინეს ქვები და დააშავეს ოთხი ჯარის კაცი. როდესაც აღნიშნული პოლკი გრადონაჩალნიკის ეზოში მივიდა, ერთი ცხენი ტყვიით დაჭრილი აღმოჩნდა.

(გაგრძელება იქნება).

30 სექტემბერი.

პეტერბურგი. კავკასიაში საგუბერნიო ამომრჩეველთა რიცხვი ასეა განაწილებული: ბაქოს გუბერნიაში 35, ბათუმის ოლქში—16, დაღესტანში—30, განჯის გუბერნიაში—45, ზაქათალაქი—15, ყარსის ოლქში—17, ქუთაისის გუბერნიაში—31, ტფილისისა—35, შავი ზღვისა—16, ერევნისა,—35, ყუბანის ოლქში—94 თერგისა—49, სოხუმისა—15, სულ 433, მათ შორის რწმუნებულთა კრებისაგან 192, მემამულეთაგან—100, ქალაქებისაგან—81 და კაზაკებისაგან—60.

ადმირალი კრიგერი საზღვაო სამინისტროს უჩივის, სამსახურიდან უწესოდ დამითხოვესო.

პეტერბურგი, 29 სექტემბერი. 28 სექტემბერს გრაფ ტოლსტოის სადგომში შესდგა კერძო კრება მინისტრთა კაბინეტის შესახებ. კრებას დაესწრნენ გრაფი ტოლსტოი, ვიტტე, მანუხინი, კოკოვცევი, ბულიგინი, ტრეპოვი და სხვები. გარდაწყვეტილია მინისტრთა მოქმედება შეერთონ მინისტრთა კაბინეტის მგზავსად. სახელმწიფო მდივანმა შეადგინა კაბინეტის პროექტი, რომელსაც, უმაღლესს მოხელეთა მიერ განხილვის შემდეგ, დასამტკიცებლად ხელმწიფეს წარუდგენენ.

ტოკიო, 29 სექტემბერი. მოვიდა ბრიტანიის ადმირალი ნოელი შტაბითა და 1,000 მეზღვაურით. ქალაქი ბაირაღებით არის მორთული. მინისტრები და საზღვაო სამხედრო წარმომადგენლები ვაგზალზე დახვდნენ.

მოსკოვი, 29 სექტემბერი. დღეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ლექციების კითხვა დაიწყო. დოროგოვისა და ხანხონოვის ქარხანაში მუშებსა და გაფიცულებს ჩხუბი მოუვიდათ. დაშავდა რამდენიმე კაცი.

პსკოვი, 29 სექტემბერი. ელეაზაროვის მონასტერი გაქურდეს და 24,000 მან. წაიღეს.

კიევი, 29 სექტემბერს გარდაიცვალა ნაფიცი ვექილი კუპერნიკი.

მოსკოვი, 29 სექტემბერი. არტისტიულ-ლიტერატურულ საზოგადოების კრებაზე, 13 სექტემბერს, დამსწრეთა შორის 186 კაცი ადმინისტრატიულ წესით დააპატიმრეს ერთი კვირიდან სამ თვემდე.

ვარშავა, 29 სექტ. დღეს ჩამოახრჩვეს ურია, რომელმაც კაზაკი მოჰკლა.

პეტერბურგი, 30 ოქტ. გუშინ დილით მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი თავ. ს. ტრუბეცკოი მოვიდა. იმავე საღამოს ტრუბეცკოიმ სიტყვა წარმოსთქვა საერთო განათლების სამინისტროს კრებაზე; სიტყვა რომ გაათავა, გული წასვლია და გარდაიცვალა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 71/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილით 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 2 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (12 ს. 28 წ)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი,

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ეგიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მ. 6. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

როიალები, ფისგარმონები.
პიანინო,
გიტარები, გრამმოფონები, ფლეიტები, სიმები,
კლარნეტები და სხ. და სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღების შეძენა შეიძლება ფასების ნაწილ-ნაწილად გადახდითაც.

მსურველთ პრეისკურანტები მუქთად ეგზავნებათ

კავკასიის ცენტრალური საწყობი სამუსიკო საკრავებისა
ბ. მ. მირიმანიანისა.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

Кавказское ДЕПО музыкальныхъ инструментовъ
Б. М. МИРИМАНІАНЪ.
Тифлисъ. Дворцовая, д. груз. дворянства.
(25—6.—5)

НЕСТЛЕ
Дѣтская молочная мука
Сгущенное молоко НЕСТЛЕ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 30 Сентября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.